პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

პარასკევი, 26 ივნისი 1936 წ. № 146 (4605)

სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლებით; უფასო განათლებით, — უმაღლესი განათლების ჩათვლით, — უმაღლეს სკოლაში მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობისათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედაენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტიდან.

უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობისა და უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის შესახებ

• სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი სთვლიან, რომ უმაღლეს სკოლაში კადრების მომზადების მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. ახალ უმაღლეს სასწავლებელთა ორგანიზაციისა და ძველთა გაშლის დროს ხშირად მხედველობიდან უშვებდნენ უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობის უმნიშვნელოვანეს პირობას — მათ უზრუნველყოფას სათანადო სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებით, ლაბორატორიებით, კაბინეტებით, ბიბლიოთეკებით, რის შედეგადაც სწავლების დონე მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში ნაკლებად განირჩევა საშუალო სკოლის (ტექნიკუმების) დონისაგან.

სასწავლო გეგმები ჯერ კიდევ მრავალსაგნობრივია და ისე, როგორც პროგრამები, ყოველწლობით იცვლება. არ მოიპოვება სტაბილური სახელმძღვანელოები უმაღლესი სკოლისათვის და სრულიად არ არის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დისციპლინათა სახელმძღვანელოები. მეტად არასაკმარისია სპეციალური ნათარგმნი ლიტერატურის გამოშვება.

პროფილების მეტისმეტი დაქუცმაცება და სიმრავლე, პარალელიზმი ერთი და იმავე სპეციალობის კადრების მომზადებაში იწვევს მეცნიერ-პედაგოგიურ ძალთა, მატერიალურ საშუალებათა დაქსაქსვას და სწავლების ხარისხის დაქვეითებას უმაღლეს სასწავლებლებში.

სასწავლო მუშაობის ორგანიზაციაში დღევანდლამდე არ არის აღმოფხვრილი სწავლების ეგრეთწოდებული „ბრიგადულ-ლაბორატორიული" მეთოდი: ჯგუფობრივი მეცადინეობა ნაკლებკვალიფიციურ ხელმძღვანელებთან სცვლის დადგენილ ლექციებს, ამასთან ერთად სტუდენტებს ზედმეტად ტვირთავენ სხვა სახის სასწავლო მუშაობით მათი დამოუკიდებელი მუშაობის საზიანოდ.

წინააღმდეგ სსრ კავშირის ცაკის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილებისა, რომ საწარმოო პრაქტიკა უნდა იყოს მთელი სასწავლო პროცესის ორგანული ნაწილი, — სწავლების ამ დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის ჯეროვანი ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ არ არის. სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისათვის სახალხო კომისარიატები არ იძლევიან საკმაოდ მოწყობილ საწარმოებს, კლინიკებს, ლაბორატორიებს და სხვ. არ არის სტუდენტთა მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის აუცილებელი კონტროლი. არ არის შესრულებულ სამუშაოს სასტიკი ანგარიშგება პრაქტიკიდან უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტის დაბრუნების შემდეგ. ყველაფერ ამას არ შეიძლება არ მოჰყვეს და საქმით ხშირად მოსდევს კიდევაც ის, რომ სტუდენტები ვერ იძენენ პრაქტიკასთან თეორიის შეხამებას, მათ მიერ უმაღლეს სასწავლებელთა კედლებში მიღებული ცოდნის შემოწმებას გამოცდილებით.

პარტიისა და მთავრობის დირექტივა უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორების ერთმმართველობის შესახებ არ სრულდება. დირექტორთა ერთმმართველობას არღვევს ადმინისტრირება საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მხრივ; ხოლო დირექტორები თავის მხრივ მმართველობის მთელ რიგ ძირითად ფუნქციებს ანდობენ მეორეხარისხოვან პირთ.

უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველდღიურად არ ზრუნავენ იმაზე, რომ ყოველმხრივ აღზარდონ სტუდენტი, როგორც პოლიტიკური შეგნების, კულტურულობისა და დისციპლინიანობის მხრივ სამაგალითო საბჭოთა მოქალაქე.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მიღება უმაღლეს სასწავლებლებში. არ არის მიღების ერთიანი მტკიცედ დადგენილი პირობები. სტუდენტთა მიღების უმნიშვნელოვანეს საქმეს დირექტორები ხშირად მეორე ხარისხოვან მუშაკებს ანდობენ. მისაღები გამოცდები მეტწილად ხდება არასაკმაოდ ორგანიზებულად, უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებისა და სახალხო კომისარიატთა უმაღლესი სასწავლებლების სამმართველოთა მხრივ უშუალო მონაწილეობის მიუღებლად და კონტროლის გაუწევლად. უმაღლეს სასწავლებლებში თვითეული შემსვლელის ცოდნის გულმოდგინედ შემოწმების ნაცვლად, უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორები გამოსდევნებიან მიღების დაწესებულ კონტიგენტთა შესრულებას და აქვეითებენ მოთხოვნათა დონეს შემსვლელთათვის. ამის გამო სტუდენტთა შემადგენლობა ნაგვიანდება მცირემცოდნე შემთხვევითი ადამიანებით.

ბევრი სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი მუშაკები საქმით დღემდე არ ახორციელებენ უმაღლეს სასწავლებელთა კონკრეტულ ხელმძღვანელობას და იჩენენ კადრების მომზადების უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმის აშკარა შეუფასებლობას და მას სახალხო კომისარიატთა მეორეხარისხოვან მუშაკებს ანდობენ. უმაღლესი სასწავლებლები სრულიადაც ვერ სარგებლობენ იმ ყურადღებით, როგორითაც სახალხო კომისარიატებში ჩვეულებრივ სარგებლობენ საწარმოები.

უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელობის ყველა ამ ნაკლმა განსაკუთრებული სიძლიერით თავი იჩინა ბოლო დროს მრეწველობაში და ტრანსპორტზე სტახანოვურ მოძრაობასთან დაკავშირებით. სტახანოვურმა მოძრაობამ გამოააშკარავა სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის მკვეთრი ჩამორჩენა უმაღლეს სასწავლებლებში პრაქტიკისაგან. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა, რომ გადაისინჯოს მოძველებული პროგრამები, სახელმძღვანელოები, ცნობარები, ენციკლოპედიები და დამხმარე ტექნიკური წიგნები სტახანოვური მოძრაობის შედეგთა და ტექნიკის უკლებლად გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდის ამოცანათა შესაბამისად.

სოციალიზმის გამარჯვების პირობებში, როცა „კადრები, რომლებიც ტექნიკას დაეუფლნენ, სწყვეტენ ყველაფერს", უმაღლეს სასწავლებლებს უნდა წარედგინოთ ახალი, უფრო მაღალი მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მაღალკვალიფიციური, პოლიტიკურად აღზრდილი, ყოველმხრივ განათლებული და კულტურული კადრების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ „კაცობრიობის მიერ გამომუშავებული ყველა სიმდიდრის ცოდნა" (ლენინი) და შეეძლებათ მთლიანად აითვისონ მეცნიერების უახლესი მიღწევები, უკლებლივ გამოიყენონ ტექნიკა და ბოლომდე შეგნებულად დაუკავშირონ თეორია პრაქტიკას, შეუხამონ საწარმოო გამოცდილება მეცნიერებას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. ადგენს:

I

უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ

1 უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისა და ამ სასწავლებლებში უფასოდ სწავლის უფლებით სარგებლობს საბჭოთა კავშირის ორივე სქესის, 17-დან 35 წლამდე ასაკის, ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საშუალო სკოლის სრული კურსის დამთავრების ატესტატი და რომელმაც წარმატებით ჩააბარა ამ სასწავლებლებში შესასვლელად დაწესებული გამოცდები.

2 უმაღლეს სასწავლებლებში ყველა შემსვლელმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდები შემდეგ საგნებში: ა) რუსული ენა (წერითი თხზულება), ბ) გრამატიკა, გ) ლიტერატურა; იმ უმაღლეს სასწავლებლებში კი, სადაც სწავლა სხვა ენებზე სწარმოებს, აგრეთვე გამოცდა იმ ენაში, რომელზედაც სწარმოებს სწავლა ამ უმაღლეს სასწავლებელში, დ) პოლიტანბანი, ე) მათემატიკა, ვ) ფიზიკა, ზ) ქიმია, ხოლო 1937 წლიდან ერთერთ უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული).

სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიურ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებმა დამატებით უნდა ჩააბარონ გამოცდები გეოგრაფიაში, ხოლო ჰუმანიტარულ (ისტორიულ, ფილოლოგიურ, იურიდიულ) უმაღლეს სასწავლებლებში — ისტორიასა და გეოგრაფიაში.

სამშენებლო, საარქიტექტურო და სამხატვრო უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებმა დამატებით უნდა ჩააბარონ გამოცდები ხატვასა და ხაზვაში, ხოლო მუსიკალური და სათეატრო უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებმა — დამატებითი გამოცდები სპეციალობის მიხედვით.

უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უპირატესი უფლებით სარგებლობენ ის პირნი, რომლებმაც მისაღები გამოცდების დროს უმაღლესი ნიშნები მიიღეს.

საშუალო სკოლადამთავრებულნი, რომლებსაც ძირითად საგნებში აქვთ ნიშანი „ფრიადი", ხოლო დანარჩენ საგნებში (ხატვა, ხაზვა, მღერა, მუსიკა, ფიზკულტურა) ნიშანი არანაკლებ „კარგისა", უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად.

3 უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთ დირექტორის სახელზე შეაქვთ განცხადება ავტობიოგრაფიისა და შემდეგი დოკუმენტების (დედნების) თანდართვით;

ა) საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი;

ბ) პასპორტი (წარდგენილ უნდა იქნას პირადად);

გ) სამხედრო ვალდებულნი, გარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტებისა, წარადგენენ სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების ცნობას.

4 შესაცვლელად არსებული პრაქტიკისა, როდესაც ყოველი უმაღლესი სასწავლებელი მიღების თავის ვადებს ნიშნავს, დაწესდეს სსრ კავშირის ყველა უმაღლეს სასწავლებელში მიღების შემდეგი ერთიანი ვადები: უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის შესახებ განცხადებათა მიღება ხდება 20 ივნისიდან 1 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე, სტუდენტად ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე.

სხვა ვადებში მიღება აიკრძალოს.

5 მიღების მთელი მომზადება და ორგანიზაცია, აგრეთვე პასუხისმგებლობა მისაღები გამოცდების მსვლელობისათვის ეკისრებათ სასწავლებლის დირექტორს, რომლის თავმჯდომარეობით (შეცვლა არ შეიძლება) შეიქმნება მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით: დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში, დეკანები და ორი პროფესორი.

უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორები და მიმღებ კომისიათა წევრები ვალდებული არიან პირადად გაეცნონ თვითეულ შემსვლელს და პირადად შეამოწმონ შემსვლელთა ყველა დოკუმენტი.

6 წინადადება მიეცეთ სახალხო კომისარიატებს უზრუნველჰყონ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების მსვლელობის კონტროლი და დირექტორებისათვის დახმარების გაწევა მიღების წესიერ ორგანიზაციასა და დროულად გატარებაში, და შემჩნეული ნაკლოვანებანი გამოასწორონ თვით მიღების პროცესში.

წინადადება მიეცეთ სახალხო კომისარიატებს საყოველთაო საუწყებლად გამოსცენ უმაღლესი სასწავლებლების შესახებ ცნობარები, რომლებშიაც აღინიშნება ფაკულტეტები, განყოფილებანი და სპეციალობანი, აგრეთვე მიღების პირობები.

7 ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან მეორეში, იმავე ტიპის სასწავლებელში, გადასვლა დაშვებულ იქნას მხოლოდ სასწავლო წლის დაწყებამდე ორივე უმაღლესი სასწავლებლის დირექტორთა ნებართვით.

სხვადასხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა გადაყვანა ნებადართულია მხოლოდ პირველი 2 კურსის სტუდენტთათვის სასწავლო წლის დაწყებამდე ორივე უმაღლესი სასწავლებლის დირექტორთა ნებართვით.

II

სასწავლო დროის ორგანიზაციის შესახებ

1 გაუქმდეს უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობის დაწყების, შეწყვეტის და დამთავრების თვითნებური ვადების არსებული პრაქტიკა და დაწესდეს უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობის დაწყება 1 სექტემბრიდან და მათი დამთავრება 30 ივნისს, ამასთან საზამთრო არდადეგებისათვის მეცადინეობა შეწყდეს 24 იანვრიდან 6 თებერვლამდე და საზაფხულო არდადეგებისათვის — 1 ივლისიდან 31 აგვისტომდე.

უმაღლესი სასწავლებლების უფროსი კურსებისათვის (მე-3, მე-4 და მე-5 კურსები), რომელთა საწარმოო პრაქტიკა მუშაობის სეზონურობასთან არის დაკავშირებული დაშვებულ იქნას სასწავლო წლის დაწყება 1 ნოემბრიდან. ამ უმაღლეს სასწავლებელთა სიას დაამტკიცებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საკავშირო კომიტეტი.

2 იმ არსებული პრაქტიკის გასაუქმებლად, რომლის დროსაც სტუდენტები გადატვირთული არიან სავალდებულო სასწავლო მეცადინეობით (40 საათამდე ექვსდღიურში), შემცირდეს იმ სავალდებულო მეცადინეობათა საათების რაოდენობა, რომლებიც მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ტარდება, და 1936-1937 სასწავლო წლიდან დაწესდეს სასწავლო საათების შემდეგი რაოდენობა ექვსდღიურში: IV და II კურსებზე — არა უმეტეს 30 საათისა, III და I კურსებზე — არა უმეტეს 24 საათისა, V კურსზე — არა უმეტეს 18 საათისა. III და IV კურსების სტუდენტებისათვის ექვსდღიურში გამოიყოს თითო დღე და უკანასკნელი კურსის სტუდენტებისათვის ორ-ორი დღე, გარდა გამოსასვლელი დღისა, დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის.

წინადადება მიეცეთ უმაღლეს სასწავლებელთა სამმართველოების უფროსებს და უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს უზრუნველჰყონ ყოველგვარი საჭირო პირობები სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის: ბიბლიოთეკების, სამხაზველო დარბაზების, ლაბორატორიების, სამეცნიერო კაბინეტების და კონსულტაციების ყოველდღიური შეუფერხებელი მუშაობა.

დაწესდეს აკადემიური საათის ხანგრძლივობა 45-40 წუთის რაოდენობით, და დასვენება მეცადინეობათა შორის 10-15 წუთი.

მთელი მეცადინეობა მოეწყოს მტკიცე სასწავლო ცხრილის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის განუწყვეტლობას დღის განმავლობაში. უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო ცხრილი უნდა დამტკიცდეს მთელი სასწავლო წლისათვის და გამოქვეყნდეს მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრების წინ.

იმ დისციპლინათა რაოდენობა, რომლებსაც სემესტრში სწავლობენ, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 6-ს, ხოლო იმ დისციპლინათა რაოდენობა, რომლებსაც ყოველდღე სწავლობენ, არ უნდა აღემატებოდეს 3-ს.

III

სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

1 უმაღლეს სკოლაში სწავლების მეცნიერული დონის ამაღლების და სასწავლო მეცადინეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ სტუდენტებს განუვითარდეთ სასწავლო მასალაზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები, ლიკვიდირებულ იქნას ჯგუფური მეცადინეობა სალექციო მასალის დასამუშავებლად, რომელსაც კატეგორიულად აკრძალვის მიუხედავად, ჯერ კიდევ მიმართავენ მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში და რომელიც წარმოადგენს სწავლების იმ ეგრეთწოდებული ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდის ნაშთს, რაც თავის დროზე დაგმობილი იყო.

დაწესდეს მასწავლებლებთან სასწავლო მუშაობის შემდეგი ფორმები:

ა) ლექციები, რომლებსაც ატარებენ პროფესორები და დოცენტები;

ბ) პრაქტიკული მეცადინეობა ლაბორატორიებში, კაბინეტებში, სახელოსნოებში, კლინიკებში და სხვ. რომელსაც ატარებენ სტუდენტები პროფესორების, დოცენტების და ასისტენტების ხელმძღვანელობით;

გ) საწარმოო პრაქტიკა, რომელიც ტარდება სასწავლო გეგმის თანახმად კათედრის მიერ სპეციალურად გამოყოფილ ხელმძღვანელთა ხელმძღვანელობით პრაქტიკის ამა თუ იმ სახის მიხედვით.

სასწავლო პროცესის ორგანიზაციის დროს განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას, რომელიც ტარდება სამკითხველოებში, ბიბლიოთეკებში, არქივებში, ლაბორატორიებში, კაბინეტებში ან სახლში ისე, რომ სტუდენტთათვის უზრუნველყოფილ იქნას კონსულტაციები.

2 გაუქმდეს სტუდენტთა აკადემიური წარმატების მიმდინარე აღრიცხვის არსებული პრაქტიკა და აკადემიური წარმატების ერთადერთ კრიტერიუმად დაწესდეს გამოცდების ჩაბარება სალექციო კურსების მიხედვით და ჩათვლათა ჩაბარება პრაქტიკული მეცადინეობის მიხედვით.

ყველა სტუდენტი ვალდებულია ჩააბაროს გამოცდა სასწავლო გეგმებში შესული თვითეული საგნის სრული კურსის მიხედვით, აგრეთვე ჩააბაროს ჩათვლა პრაქტიკულ სამუშაოებში მას შემდეგ, რაც სტუდენტებმა სავსებით მოისმინეს მოცემული კურსი.

გამოცდები რთულ საგნებში, რომლებსაც დამოუკიდებელი განყოფილებები აქვთ, ხდება ნაწილ-ნაწილად, მაგრამ არა უფრო ხშირად, ვიდრე წელიწადში ორჯერ.

გამოცდებს აწარმოებენ პროფესორები და დოცენტები (რომლებიც კითხულობენ სათანადო სალექციო კურსებს), რომლებიც დამტკიცებული არიან ამ სახელწოდებაში.

3 დაწესდეს ყველა უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა აკადემიური წარმატების შეფასების შემდეგი საფეხურები (ნიშნები): 1) არადამაკმაყოფილებელი; 2) დამაკმაყოფილებელი; 3) ფრიადი.

4 უკანასკნელი კურსების სტუდენტთა მიერ სადიპლომო შრომების დაცვის შესახებ არსებული დებულების გასაუქმებლად, რაც ვერ უზრუნველჰყოფს იმის შემოწმებას, თუ რამდენად მომზადებულია უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებული პირი დამოუკიდებელი მუშაობისათვის სპეციალობის მიხედვით, შემოღებულ იქნას, როგორც წესი, ყველა უმაღლეს სასწავლებელში, გარდა ტექნიკური სასწავლებლებისა, სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება, ხოლო ტექნიკურ სასწავლებლებში — სადიპლომო პროექტების დაცვა, სპეციალურ სახელმწიფო საგამოცდო კომისიებში, რომლებსაც ყოველწლიურად დანიშნავენ სახალხო კომისრები. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება და სადიპლომო პროექტების დაცვა ტარდება ყოველწლიურად 1-დან 30 ივნისამდე და 1-დან 31 ოქტომბრამდე.

სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად და სადიპლომო პროექტების დასაცავად დაიშვებიან ის პირები, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში ჩააბარეს გამოცდები და ჩათვლა. სტუდენტები, რომლებმაც ვერ ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები ან ვერ დაიცვეს სადიპლომო პროექტები, დაიშვებიან განმეორებით ჩასაბარებლად შემდეგ წელს.

წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლესი სკოლის საკავშირო კომიტეტს 2 თვის განმავლობაში შეიმუშაოს დებულება სახელმწიფო საგამოცდო კომისიების შესახებ და უმაღლეს სასწავლებელთა სხვადასხვა ტიპების შესაბამისად დააწესოს იმ საგნების სია, რომლებიც ჩაბარებულ უნდა იქნას აღნიშნულ კომისიებში, აგრეთვე დააწესოს სადიპლომო პროექტთა დაცვის წესი და შეიტანოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად.

5 ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემოღებულ იქნას სტუდენტთა ერთიანი ბილეთი და ერთიანი მატრიკული (ჩათვლის წიგნაკი). მატრიკულში შეიტანება ყველა საგანი, რომელთა გავლაც სავალდებულოა, და ჩანაწერი გამოცდებისა და ჩათვლის ჩაბარების შესახებ.

მატრიკულში გამოცდებისა და ჩათვლის ჩაბარების აღნიშვნის და ნიშნების დასმის უფლება აქვს მხოლოდ პროფესორს, რომელმაც გამოცდა აწარმოვა, და დოცენტს, რომელმაც საგანი ჩაუთვალა.

წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლესი სკოლის კომიტეტს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს სტუდენტთა ბილეთის და მატრიკულის ერთიანი ტიპი და დასამტკიცებლად წარუდგინოს იგი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს.

6 უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულთათვის დაწესდეს ორი ხარისხის დიპლომი.

პირველი ხარისხის დიპლომი მიეცემათ იმ სტუდენტებს, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი ნიშნებით „ფრიადი" ყველა საგნის 3/4-დში მაინც, ხოლო დანარჩენ საგნებში — ნიშნებით „დამაკმაყოფილებელი" და რომლებმაც ჩააბარეს ყველა სახელმწიფო გამოცდები ან დაიცვეს სადიპლომო პროექტები „ფრიადზე".

მეორე ხარისხის დიპლომი მიეცემა ყველა დანარჩენ სტუდენტს, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები ან დაიცვეს სადიპლომო პროექტები.

7 ის სტუდენტები, რომლებმაც პირველი ხარისხის დიპლომი მიიღეს, სარგებლობენ უპირატესი უფლებით იმ მხრივ, რომ:

ა) დაიკავონ სამუშაოზე თავისუფალი თანამდებობანი სპეციალობის მიხედვით, აგრეთვე დაიკავონ თანამდებობანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხაზით უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში:

ბ) ჩარიცხულ იქნან ასპირანტურაში უმაღლეს სასწავლებელთა სათანადო კათედრებთან;

გ) შეტანილ იქნან იმ კანდიდატთა რიცხვში, რომლებიც გაიგზავნებიან სამეცნიერო მივლინებაში როგორც სსრ კავშირის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

8 წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლესი სკოლის საკავშირო კომიტეტს წარუდგინოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად დიპლომის (I და II ხარისხის) ერთიანი ტიპი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ, აგრეთვე გამოსცეს ინსტრუქცია უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებაზე დიპლომების გაცემის წესის შესახებ.

9 იმის გამო, რომ საწარმოო პრაქტიკა უნდა წარმოადგენდეს სწავლების მთელი სასწავლო პროცესის ორგანულ ნაწილს და ეხმარებოდეს სტუდენტებს უკეთ აითვისონ თეორიული ცოდნა და გამოიყენონ იგი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში:

ა) დაწესდეს, რომ სტუდენტები საწარმოო პრაქტიკაზე ასრულებენ ძირითად სამუშაოთა მთელ ციკლს სპეციალობის მიხედვით;

ბ) გაიგზავნონ სტუდენტები პრაქტიკაზე ჯგუფებად უმაღლესი სასწავლებლის სპეციალურად გამოყოფილ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით;

გ) წინადადება მიეცეთ სახალხო კომისარიატებს შეუნარჩუნონ უმაღლეს სასწავლებლებს, სულ ცოტა 4-5 წლის ვადით, ყველაზე უფრო მოწყობილი და კარგად ორგანიზებული საწარმოო წამოწყებანი მათში სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ჩასატარებლად:

დ) წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლეს სკოლის საკავშირო კომიტეტს 3 თვის ვადაში შეიმუშაოს საწარმოო პრაქტიკის დებულება, ამასთან უმაღლეს სასწავლებელთა ახალ სასწავლო გეგმებში უზრუნველჰყოს დროის სულ ცოტა 30 პროცენტი ორი უფროსი კურსის საწარმოო პრაქტიკისათვის და გაადიდოს ეს დრო 40 პროცენტამდე სპეციალობის მიხედვით;

ე) წინადადება მიეცეთ სახალხო კომისარიატებს 4 თვის ვადაში შეიმუშაონ საწარმოო პრაქტიკის პროგრამები ყველა სპეციალობის უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

IV

უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის შესახებ.

1 დაწესდეს, რომ სახალხო კომისრებს და უწყებათა ხელმძღვანელებს ეკისრებათ სრული პირადი პასუხისმგებლობა მათს სისტემაში მყოფ უმაღლეს სასწავლებელთა მდგომარეობისა და მუშაობისათვის.

2 წინადადება მიეცეთ სახალხო კომისრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს პირადად გაეცნონ ხოლმე უმაღლეს სასწავლებელთა მდგომარეობას და სისტემატურად მოისმინონ უმაღლესი სკოლის დირექტორთა მოხსენებანი, აგრეთვე დასვან სახალხო კომისრებთან არსებული საბჭოების განსახილველად უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების შემდგომი საკითხები (მომზადების გეგმები, უმაღლეს სასწავლებლებში მოსამზადებელ სპეციალისტთა ხარისხი და სხვ.).

3 ყველა სახალხო კომისარიატსა და უწყებაში, რომელთა გამგებლობაშიც უმაღლესი სასწავლებლები არიან, მოეწყოს სასწავლებელთა სამმართველოები და დაეკისროს მათ უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადებისა და გადამზადების ხაზით მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა და უმაღლეს სასწავლებელთა ინსპექტირება მათი მუშაობის ყველა დარგში.

უმაღლეს სასწავლებელთა სამმართველოები უშუალოდ დაუქვემდებარდეს სახალხო კომისრებს ან უწყებათა ხელმძღვანელებს.

4 წინადადება მიეცეთ სახალხო კომისრებს და უწყებათა ხელმძღვანელებს განამტკიცონ სასწავლებელთა სამმართველოს შემადგენლობა სამეცნიერო-პედაგოგიური და საწარმოო მუშაობის გამოცდილების მქონე კვალიფიციური სპეციალისტებით.

5 დაწესდეს, რომ უმაღლესი სასწავლებლის დირექტორს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობისათვის, სტუდენტთა მიღებისა და სწავლებისა და მათ შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მოწყობისათვის, უმაღლეს სასწავლებელში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მისი სამეურნეო მდგომარეობისათვის, მეცნიერ-პედაგოგთა პერსონალის შერჩევისა და მართებული გამოყენებისათვის, მეცნიერ-პედაგოგთა კადრების მომზადებისათვის კათედრებზე, სტუდენტთა და მასწავლებელთა შემადგენლობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

6 უმაღლეს სასწავლებელთა მიერ თანამედროვე მეცნიერების დონეზე მდგარ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების ამოცანებისა და იმ მაღალ მოთხოვნათა მიხედვით, რომლებიც ამასთან დაკავშირებით უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს წარედგინება, აგრეთვე დირექტორთა ავტორიტეტისა და პასუხისმგებლობის შემდგომი გადიდების მიზნით, ამიერიდან დაწესდეს რომ:

ა) უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის პირნი, რომელთაც აქვთ დამთავრებული უმაღლესი განათლება და მოცემულ დარგში სამეცნიერო-პედაგოგიური და საწარმოო მუშაობის გამოცდილება.

ბ) უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს ამტკიცებს და ჰხსნის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საკავშირო კომიტეტი სახალხო კომისარიატების წარდგენით.

გ) დირექტორებისათვის ადმინისტრატიული სასჯელის დადება მხოლოდ სახალხო კომისარს შეუძლია.

7 სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საქ. კ.პ.(ბ) ც. კ. წინადადებას აძლევენ სახალხო კომისრებს შეუქმნან უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს ყველა აუცილებელი პირობა მათი სამეცნიერო და ტექნიკური კვალიფიკაციის ასამაღლებლად (სამეცნიერო შვებულებანი, სამეცნიერო მივლინებანი, ლიტერატურის გამოწერა, მუშაობისაგან განთავისუფლება სამეცნიერო ხარისხზე დისერტაციების მოსამზადებლად და სხვ).

8 დირექტორის მოადგილე სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის დარგში წამოყენებული იქნება წამყვან სპეციალობათა ყველაზე კვალიფიციური პროფესორთა რიცხვიდან და მას დაამტკიცებს და მოხსნის სახალხო კომისარი.

9 ფაკულტეტთა დეკანები წამოყენებულ იქნებიან მოცემული ფაკულტეტის წამყვან დისციპლინათა პროფესორების რიცხვიდან, მათ დაამტკიცებს სახალხო კომისარიატის სასწავლებელთა სამმართველოს უფროსი უმაღლესი სასწავლებლის დირექტორის წარდგენით.

დეკანები ახორციელებენ ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ერთპიროვნულ ხელმძღვანელობას.

10 კათედრების ხელმძღვანელთ წამოაყენებენ კონკურსით და მათ, უმაღლესი სასწავლებლის დირექტორის წარდგენით, დაამტკიცებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საკავშირო კომიტეტი.

კათედრის ხელმძღვანელობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა პროფესორის სახელწოდების ან მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთ.

11 კათედრათა დოცენტებს წამოაყენებენ კონკურსით და მათ დაამტკიცებს სახალხო კომისარიატის უმაღლეს სასწავლებელთა სამმართველოს უფროსი უმაღლესი სასწავლებლის დირექტორის წარდგენით.

დოცენტის თავისუფალ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა დოცენტის სახელწოდების ან მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მქონე პირთ.

12 კათედრათა თანამშრომლებს — ასისტენტებს, მეცნიერ თანამშრომლებს, ლაბორანტებს — პერსონალურად წამოაყენებს პროფესორი — კათედრის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, და დაამტკიცებს უმაღლესი სასწავლებლის დირექტორი.

13 ისახავენ რა კათედრათა თანამშრომლებს მათი სამეცნიერო-სამასწავლებლო კვალიფიკაციის სისტემატურად ამაღლების ამოცანას, სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევენ უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს და უმაღლესი სასწავლებლების სამმართველოთა უფროსებს არ დაუშვან დოცენტების, ასისტენტების და კათედრათა მეცნიერ თანამშრომლების შეთავსებით მუშაობა, ამასთან უზრუნველჰყონ ყველა აუცილებელი პირობა მათი სამეცნიერო კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

წინადადება მიეცეს კათედრათა ხელმძღვანელებს დააწესონ კათედრის თვითეული თანამშრომლისათვის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინდივიდუალური კონკრეტული გეგმა და უზრუნველჰყონ კათედრის მუშაკთა სამეცნიერო და პედაგოგიური კვალიფიკაციის სისტემატურად ამაღლება.

14 სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ჰგმობენ სახალხო კომისარიატების და სასწავლებლების მუშაკთა ერთ ნაწილს შორის გავრცელებულ შეხედულებებს, რომ უმაღლეს სასწავლებელთა კათედრები არ უნდა ეწეოდნენ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, არამედ უნდა კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიუთითებენ, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარეშე უმაღლესი სასწავლებლები ვერ განახორციელებენ სპეციალისტთა მომზადებას თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნათა დონეზე და წარმოუდგენელია მეცნიერ-მასწავლებელთა კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევენ ყველა სახალხო კომისარიატს და უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს საქმით უზრუნველჰყონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლა კათედრებში.

15 აიკრძალოს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მოწყვეტა მათი უშუალო მუშაობისაგან და არა თავიანთ სპეციალობაზე გამოყენება.

16 აიკრძალოს სახალხო კომისარიატებს უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო პედაგოგიური კადრების გადაყვან-გადმოყვანა სასწავლო წლის დროს.

V

წესრიგის და დისციპლინის შესახებ უმაღლეს სკოლაში

1 სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიუთითებენ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების მაღალი ხარისხი დამოკიდებულია უმაღლეს სკოლაში ზუსტად დადგენილ წესრიგზე და მტკიცე შეგნებული დისციპლინის გატარებაზე.

ამ მიზნით სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევენ დირექტორებს დააწესონ მეცადინეობის ზუსტი ცხრილი და მისი მტკიცედ დაცვა; სრული წესრიგი აუდიტორიებში, კაბინეტებში, ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკებში, სამკითხველოებში, რაც უზრუნველჰყოფს ნორმალურ სასწავლო მუშაობას. მიამაგრონ კათედრებს განსაზღვრული სასწავლო სადგომები, უზრუნველჰყონ ლაბორატორიებისა და კაბინეტების აუცილებელი რემონტი და მათი შევსება თვალსაჩინო ხელსაწყოებით, სალაბორატორიო მოწყობილობით, რეაქტივებით, სამხაზველო ნივთებით და სხვ.

2 დაწესდეს დირექტორის, მისი მოადგილეებისა და ფაკულტეტთა დეკანების მიერ, ცალკე პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის და ცალკე სტუდენტთა, არასასწავლო დროს მიღების დღეებისა და საათების მტკიცე ცხრილი.

დაწესდეს, რომ უმაღლეს სასწავლებლების სასწავლო კორპუსებსა და საერთო საცხოვრებლებში შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ ამ სასწავლებლის სტუდენტებს, სამეცნიერო-პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს. დანარჩენ პირთა შესვლა ამ შენობებში ნებადართული იქნება მხოლოდ სპეციალური საშვებით.

3 წინადადება მიეცეს უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს უზრუნველჰყონ უმაღლესი სასწავლებლის ყველა შენობაში დროული რემონტი და დალაგება, აგრეთვე ვესტიბიულების, მოსაცდელი, ოთახების კულტურულად მოწყობა, კულტურული მომსახურება ტანისამოსის ჩამოსაკიდებთან ბუფეტებსა და სასადილოებში.

4 სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევენ უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს თვალყური ადევნონ სტუდენტთა ფიზიკურ აღზრდას და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას და მიიღონ ზომები, რათა სანიმუშო მდგომარეობაში იქნას მოყვანილი სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები, უზრუნველჰყონ იქ უნაკლო სისუფთავე და ყველა აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

დასასრული მე-2 გვ.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობისა და უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის შესახებ

(დასასრული)

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევენ უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებს და სახალხო კომისარიატების უმაღლეს სასწავლებელთა სამმართველოების უფროსებს:

ა) დააწესონ საერთო საცხოვრებლებში მტკიცე განაწესი და გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ მის დამრღვევებს;

ბ) დააწესონ, რომ კრებები საერთო საცხოვრებლებსა და სასწავლო სადგომებში შეიძლება მოეწყოს მხოლოდ დირექტორის თანხმობით;

გ) არ დაუშვან სტუდენტთა საცხოვრებელი ფართობის იმ ნორმების თვითნებურად შემცირება, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის დაწესებული, საერთო საცხოვრებლების გადატვირთვა, აგრეთვე არ დაუშვან უცხო პირთა ჩასახლება საერთო საცხოვრებლებში და არავითარი მობინადრის მოთავსება სასწავლო კორპუსებში.

5. დაევალოს სახალხო კომისარიატებს და საქალაქო საბჭოებს 1936 წლის სექტემბრამდე გაათავისუფლონ სტუდენტთა ყველა საერთო საცხოვრებელი გარეშე მობინადრეებისაგან და სასწავლო შენობები — ყოველგვარი მობინადრეებისაგან.

დამნაშავენი ამ დადგენილების არშესრულებაში მიცემულ იქნან პასუხისგებაში.

წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლესი სკოლის საკავშირო კომიტეტს შეიტანოს სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დასამტკიცებლად უმაღლესი სკოლის ახალი წესდება, შემუშავებული ამ დადგენილების საფუძველზე.

o

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის კომიტეტს და სახალხო კომისარიატებს უზრუნველჰყონ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება, ხოლო პარტიულსა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს სასწავლო მუშაობის მოწყობაში, უმაღლეს სასწავლებლებში წესრიგის დამყარებაში და ამით შექმნან აუცილებელი პირობები ისეთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების საქმეში, რომლებიც სავსებით შეეფერებიან სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე მოთხოვნებს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

1936 წლის 23 ივნისი.

საფრანგეთის მთავრობის დეკლარაცია საგარეო პოლიტიკის საკითხებზე

პარიზი, 24 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„პრემიერი ბლიუმი სენატში გამოვიდა დეკლარაციით საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. დეპუტატთა პალატაში დეკლარაცია გამოაქვეყნა საგარეო საქმეთა მინისტრმა დელბოსმა.

დეკლარაციაში აღნიშნულია საფრანგეთის მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ განუყოფელი მშვიდობიანობისაკენ, რომელიც არავის არ გამორიცხავს, აგრეთვე ერთგულება ერთა ლიგისადმი. საფრანგეთის გადაწყვეტილება რომ განამტკიცოს კოლექტიური უშიშროება, — ნათქვამია დეკლარაციაში, მხედველობაში იღებს შემდეგ პირობას: საერთაშორისო კანონთა და ხელშეკრულებათა დაცვას და ურთიერთ ნდობის აღდგენას“.

შემდეგ დეკლარაციაში გაშუქებულია საფრანგეთის პოზიცია იტალიის წინააღმდეგ სანქციების საკითხში. მიუხედავად ნათესაური კავშირისა იტალიის ხალხთან, საფრანგეთს, რომელიც ერთა ლიგის წესდების ერთგული რჩება, უნდა შეესრულებინა სამართლიანობისა და ადამიანობის პრინციპებიდან გამომდინარე ვალდებულებანი. ამჟამად იგი აღიარებს, რომ სანქციების შენარჩუნება იქნებოდა მხოლოდ ქმედითობას მოკლებული სიმბოლური ჟესტი. საფრანგეთი მომხრეა ერთა უშიშროების განმტკიცებისა, მაგრამ კოლექტიური უშიშროების პრობლემას უნდა ჰქონდეს ორი ასპექტი: გეოგრაფიული მდებარეობით ან საერთო ინტერესებით ერთმანეთთან დაკავშირებულ სახელმწიფოთა ჯგუფი მზად უნდა იყოს თვითონ გამოიყენოს ყველა საშუალება აგრესორის წინააღმდეგ; ამას ერთა ლიგაში შემავალ ყველა ქვეყანას საშუალება უნდა მისცეს სავალდებულო წესით განახორციელოს ეკონომიური და ფინანსური სანქციები. საფრანგეთის მთავრობა წინადადებას აძლევს გაუმჯობესოს ერთა ლიგის წესდების პრინციპი, რომელიც მოითხოვს ერთსულოვან გადაწყვეტილებას და აქარწყლებს ერთა ლიგის წესდების მე-11 მუხლის მოქმედებას. მთავრობა დუნაის ყველა ქვეყანას ურჩევს დადონ პაქტი, ისეთი პაქტი, რომელიც არც ერთი ამ ქვეყნის წინააღმდეგ არ იქნება მიმართული. იგი ურჩევს აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს შეუერთდნენ ბალკანეთის ანტანტას, რათა არ იქნას დაშვებული ვინმეს ჰეგემონია ხმელთაშუა ზღვაზე. როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, მთავრობა გამოსთქვამს სურვილს რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება, რომელიც ბოლოს მოუღებს 7 მარტს დაწყებულ კრიზისს, ამასთან იგი ფიქრობს რომ ლოკარნოს ხელშეკრულებამ უნდა განაგრძოს არსებობა. მთავრობა იმედოვნებს, რომ იტალია ამ ამოცანათა განხორციელების დროს აუცილებელ დახმარებას გაგვიწევს.

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის საკითხზე დეკლარაციაში აღნიშნულია:

„რაგინდ გულწრფელიც უნდა იყოს ჩვენი მისწრაფება გერმანიასთან შეთანხმებისაკენ, შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავივიწყოთ მომხდარი ფაქტები და ჩვენ მიერ გადატანილი გამოცდილება“. დეკლარაცია იხსენებს გერმანიის შეიარაღების გაძლიერებულ ტემპებს და გერმანიის 7 მარტის მოქმედების შედეგად შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას. „თუ გერმანია პასუხს გასცემს ინგლისის კითხვარზე, — ნათქვამია დეკლარაციაში, — საფრანგეთი გერმანიის წინადადებებს განიხილავს გულწრფელი სურვილით, რომ მათში მპოვოს ბაზა შეთანხმებისათვის“. მაგრამ ეს შეთანხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, თუ იგი შესაბამისი იქნება მშვიდობიანობის განუყოფლობის პრინციპისა და არავის არ შეუქმნის მუქარას. მთავრობას უნდა კოლექტიური მეცადინეობის შემწეობით შეაჩეროს შეჯიბრება შეიარაღებაში და შესაძლებელი გახადოს პროგრესული და საყოველთაო განიარაღება. მთავრობა უწინარეს ყოვლისა მოითხოვს პრევენტულ საჯაროობას და წარმოების კონტროლის დაწესებას, რომელიც უნდა განახორციელოს საერთაშორისო მუდმივმა კომისიამ; ეს კომისია უნდა იმყოფებოდეს ჟენევაში. საფრანგეთის მთავრობა მთელი ლოიალობით შეუერთდება ყოველგვარ ღონისძიებას, რომელიც კი ერთსულოვნად იქნება მიღებული შეიარაღების კონტროლის დაწესების, შეზღუდვისა და შემცირების მიზნით.

რაც შეეხება დასავლეთის საჰაერო პაქტს ურთიერთდახმარების შესახებ, საერთო მისი შეეხება შეთანხმებით საჰაერო ძალების შეზღუდვის შესახებ. მთავრობა აცხადებს, რომ საერთოდ საჭიროა შეიზღუდოს საჰაერო შეიარაღება ევროპაში. მთავრობა მოითხოვს მოწვეულ იქნას კომისია ევროპის კავშირის იმ პროექტის შესასწავლად, რომელიც ბრიანმა წამოაყენა. ამ კომისიაში უნდა შევიდნენ ევროპის ყველა სახელმწიფოს, მათ შორის გერმანიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები.

დეკლარაციის დასკვნით ნაწილში მთავრობის ამოცანები განსაზღვრულია შემდეგნაირად: ხალხებმა უნდა იცოდნენ მიაღწიონ განიარაღებულ მშვიდობიანობას, რომლის დროსაც მსოფლიო სანქციები ავტომატურად ამოქმედდება აგრესორის წინააღმდეგ. ამის მოლოდინში საფრანგეთი ვალდებულია, რომ მან შეძლოს თავიდან აიცილოს ყოველგვარი აგრესია.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ დეკლარაციაში ნათქვამია:

„საფრანგეთისათვის უზრუნველყოფილია ძვირფასი დახმარება ჩვენი მეგობრისა — სსრ. კავშირისა, რომელთანაც ჩვენ გვაკავშირებს ურთიერთ-დახმარების პაქტი, რაც ყველასათვის ღიაა და რისი დადებაც ნაკარნახევი იყო მშვიდობიანობაზე საერთო ზრუნვით“. (ადს).

კონფერენცია მონტრეში

იტალიის ნოტა თურქეთის დელეგაციას

მონტრე, 23 ივნისი (ადს სპეც. კორესპ.). გუშინ მონტრეში თურქეთის დელეგაციამ იტალიის მთავრობისაგან მიიღო ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია: იტალიას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მონტრეს კონფერენციაში „ვიდრე საერთაშორისო ვითარებაში მეტი გარკვეულობა არ დამყარდებაო“. ნოტაში აგრეთვე აღნიშნულია, განსახილველი საკითხის მნიშვნელობის გამო, იტალიის მთავრობა უკვე ახლა იტოვებს უფლებას უფრო გვიან გამოამჟღავნოს თავისი დამოკიდებულება კონფერენციის გადაწყვეტილებებისადმი.

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

მონტრე, 23 ივნისი. დღეს ამხანაგი ლიტვინოვი გამოვიდა სრუტეების საკითხზე მოწვეული კონფერენციის დახურულ სხდომაზე და განაცხადა:

„უწინარეს ყოვლისა მე მინდა მივულოცო თურქეთის მთავრობას ამ შესანიშნავი დოკუმენტის — კონვენციის პროექტის შემუშავება, რომელიც გამსჭვალულია მეგობრობისა და ფართო გაგების სულით, რამაც დოკუმენტის ავტორებს მხედველობაში მიაღებინა არა მარტო თურქეთის რესპუბლიკის უშიშროების ინტერესები, არამედ სხვა ქვეყნების და განსაკუთრებით, შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე ქვეყნების ინტერესებიც.

ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ კონვენციის ამ პროექტში თურქეთმა ხელი აიღო მეტად ძველ პრინციპზე, რომელსაც დიდხანს მისდევდა ოტომანის იმპერია — სამხედრო გემებისათვის სრუტეების მთლიანად დახურვის პრინციპზე. ეს თავისთავად ამჟღავნებს პროექტის სულს, რომელსაც მე ეს ეს არის აღვნიშნავდი.

ყველამ ვიცით, რომ ეს სრუტეები — დარდანელი და ბოსფორი, განსაკუთრებული ხასიათისა არიან და არ შეიძლება მათი შედარება სხვა საერთაშორისო არხებთან და სრუტეებთან. ვინაიდან მათ შეჰყავართ მხოლოდ შავ ზღვაში, რომელიც დახურულ ზღვას წარმოადგენს და რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ქვეყნებში სატრანზიტოდ. ამ გარემოებათა მხედველობაში მიღებით ევროპის მრავალ სახელმწიფო მოღვაწეს, მათ შორის, მაგალითად, ლორდ პალმერსტონსა და ველინგტონს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში არაერთხელ დაუშვია სრუტეების დახურვა.

სრუტეების დახურვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო თურქეთის უშიშროებისათვის, არამედ შავი ზღვის ყველა სახელმწიფოსთვისაც. რასაკვირველია, ეს უშიშროება ყველაზე უკეთესად უზრუნველყოფილი იქნებოდა, თუ სრუტეები სავსებით დახურებოდა არა შავიზღვის სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვის. მიუხედავად ამისა, ჩემი მთავრობა მზად არის დათანხმებით არ მოითხოვოს ასეთი დახურვა, არამედ მხარი დაუჭიროს თურქეთის წინადადებას სრუტეების ყველა ქვეყნის გემებისთვის გახსნის შესახებ განსაზღვრული მიზნითა და ერთგვარ შეზღუდვათა დაცვით. იმ დროს, როდესაც სრუტეების გავლა სავსებით თავისუფალია კომერციული გემებისთვის, მე მგონია, არცერთი სახელმწიფო არ არის დაინტერესებული — პრაქტიკული თვალსაზრისით — გაგზავნოს თავისი სამხედრო გემები შავ ზღვაზე, საიდანაც გასავალი არ არსებობს და სადაც მას საზღვაო ბაზები არ მოეპოვება. მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია სამხედრო გემების გაგზავნა თავაზიანობის აღსანიშნავი ვიზიტით, თურქეთის მთავრობამ მიიღო ეს მხედველობაში და წინადადება შემოაქვს ნება დართოს ერთეულ სამხედრო გემებს შავ ზღვაზე გასვლისა ასეთი მიზნებისათვის. ჩვენ, რასაკვირველია, არ გვსურს მოვუსპოთ სახელმწიფოებს ეს ტრადიცია. მაგრამ ერთგვარი საზღვრები უნდა დადგენილ იქნას იმისათვის, რომ შავი ზღვის სახელმწიფოებისათვის საფრთხე და საშიშროება არ წარმოიშვას. რაც უფრო შევზღუდავთ შავიზღვაზე შემსვლელი გემების ტონაჟსა და რაოდენობას, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნება უშიშროება ევროპისა და აზიის ამ ნაწილში, ხოლო როდესაც უშიშროებას ვიცავთ ქვეყნიერების ერთ ნაწილში, ამით უკვე ბევრს ვაკეთებთ საერთო უშიშროებისათვის.

მაგრამ არავითარი საფუძველი არ მოიპოვება იმისათვის, რომ შავი ზღვის სახელმწიფოებს არ ჰქონდეთ თავისი საზღვაო გემებისათვის სავსებით თავისუფალი გასასვლელი, დიდი საერთაშორისო საზღვაო გზებისა და ოკეანეებისაკენ.

საბჭოთა კავშირი, რომელსაც თავის საზღვრებში მოეპოვება ერთმანეთს დაშორებული ზღვები, განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება. ცხადია, აუცილებლობას წარმოადგენს რომ ჩვენს საზღვაო ძალებს თავისუფალი მიმოსვლა შეეძლოთ ჩვენს სხვადასხვა საზღვაო ბაზებთან და ნავსადგურებთან. დარწმუნებული ვარ, სამართლიანობის მიხედვით ამ უფლებაზე უარს არ გვეტყვიან. ჩვენ გვაქვს გემსაშენი ვერფები შავ ზღვაზე, და არავითარი საფუძველი არ მოიპოვება იმისათვის, რომ ამ ვერფებში აგებულ ჩვენს გემებს არ მიეცეთ უფლება წავიდნენ სხვა საზღვაო ბაზებში, რომლებისთვისაც ისინი გათვალისწინებული არიან. მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს გემსაშენი ვერფები სხვა ზღვებზე და ნავსადგურებში, და არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ იქ აგებული გემები არ შეიძლებოდეს ჩაირიცხოს ჩვენს საზღვაო ფლოტში შავ ზღვაზე. ამ მოსაზრებათა მიხედვით ვაცხადებ მზადყოფნას მიღებულ იქნას კონვენციის თურქული პროექტი დისკუსიის საფუძვლად, თუმცა, შესაძლოა, მოგვიხდეს ზოგიერთი მცირე შესწორების შეტანა მთელ რიგ პუნქტებში. ერთი პუნქტის მიმართ — პუნქტისა, რომელიც ეხება შავი ზღვის სახელმწიფოთა ინტერესებს, — განსაკუთრებული შენიშვნა უნდა გავაკეთო.

მე არ მინდა განვიხილოთ სრუტეების რემილიტარიზაციის საკითხი; ვფიქრობ, ამ პუნქტის თაობაზე დისკუსია არ დაგვჭირდება, ვინაიდან ჩვენ ყველანი ვცნობთ, რომ თურქეთს უფლება აქვს სავსებით თავისუფლად დაიცვას თავისი საკუთარი ნაპირები და თავისი რესპუბლიკის ტერიტორიები. მონაწილეობას ვიღებთ რა ამ კონფერენციაზე, რომელმაც ლოზანის კონვენცია უნდა გადასინჯოს თურქეთის წინადადებათა საფუძველზე, ყველანი ვცნობთ კონვენციის იმ მუხლების გაუქმების დროულობას, რომლებიც სრუტეების რემილიტარიზაციას შეეხება. ამ საკითხის თაობაზე მე არავითარ შენიშვნებს არ ვაკეთებ და პროექტის სათანადო მუხლებს იმ სახით ვღებულობ, როგორც ისინი წარმოდგენილია.

დასასრულ, მინდა მოვაგონო კონფერენციას, რომ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ერთა ლიგა. ლიგა არ მომკვდარა. იგი არსებობას განაგრძობს, და, იმედი მაქვს, სიძნელეებს თავს დააღწევს გაჯანსაღებული და უფრო ძლიერი, ვიდრე წინათ იყო. ამიტომ ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მისი ინტერესები და გავითვალისწინოთ შავ ზღვაზე სამხედრო გემების შესვლის და იქიდან გამოსვლის შესაძლებლობა ერთა ლიგის იმ მოთხოვნათა შესასრულებლად, რომ აგრესიის მსხვერპლთ შესაძლებლობა მიეცეთ ისარგებლონ მხარის დაჭერითა და დახმარებით. კონვენციის პროექტის ავტორებს მხედველობაში ჰქონდათ ეს გარემოება, მაგრამ მე მინდა უფრო კონკრეტული ფორმით გამოხატული ვნახო იგი კონვენციაში“. (ადს)

საფრანგეთის დელეგატის პოლ-ბონკურის გამოსვლა

მონტრე, 23 ივნისი. საფრანგეთის დელეგატი ბონკური, რომელმაც სიტყვა ლიტვინოვის შემდეგ აიღო, აგრეთვე დაეთანხმა პროექტის მიღებას საფუძვლად, მაგრამ განაცხადა, ზოგიერთი შენიშვნა მაქვს ცალკეულ პუნქტებზეო. მან ხაზი გაუსვა ლიტვინოვის განცხადების მთელ მნიშვნელობას ერთა ლიგის პაქტიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესახებ, და დასძინა, რომ იგივე შეეხება რეგიონალური პაქტებიდან გამომდინარე ვალდებულებებს. ბონკურმა ის თვალსაზრისი გამოსთქვა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს შავი ზღვის სახელმწიფოთა აზრი კონვენციის პროექტის შესახებ. (ადს).

o

ინგლისის და საფრანგეთის დელეგატების მიღება ამხ. ლიტვინოვის მიერ

მონტრე, 23 ივნისი. დღეს ამხ. ლიტვინოვმა მიიღო საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის პირველი დელეგატები — ბონკური და ლორდი სტენჰოპი. (ადს)

o

სრუტეების რეჟიმი და იტალიის პოზიცია

რომი, 23 ივნისი. მხოლოდ ახლა, როდესაც მონტრეში კონფერენცია დაიწყო, პრესა გარკვევით განსაზღვრავს იტალიის მთავრობის პოზიციას სრუტეთა რეჟიმის საკითხზე. მთელი პრესა წინააღმდეგია, რომ თურქეთს მიეცეს სრუტეების გამაგრების შესაძლებლობა (ადს).

o

ავსტრიის პრესა მონტრეს კონფერენციის შესახებ

ვენა, 21 ივნისი. ავსტრიის პრესა გაცხოველებით მსჯელობს იმაზე, თუ რა პერსპექტივები აქვს მონტრეს (შვეიცარია) კონფერენციას, რომელსაც იხილავს თურქეთის სრუტეთა რეჟიმის გადასინჯვის საკითხს.

„ნოიეს ვინერ ტაგებლატი“ დაინტერესების პრობლემისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში სწერს:

„თურქეთის თვალსაზრისის გატარების პერსპექტივები ხელსაყრელად გვეჩვენება, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის და თურქეთის სოლიდარული მოქმედების მოსაზრებით, აგრეთვე იმიტომაც, რომ ინგლისი მზად არის დაეთანხმოს თურქეთის წინადადებებს, რამდენადაც თურქეთის ელჩმა ლონდონში განაცხადა, რომ თურქეთი მზად არის მხარი დაუჭიროს ინგლისის ფლოტს ხმელთაშუა ზღვაზე არაპროვოცირებული თავდასხმის შემთხვევაში. საფრანგეთი და იტალია მზად არიან მხარი დაუჭირონ თურქეთის თვალსაზრისს თუ კვლავ დარჩება სავაჭრო გემების თავისუფალი გავლა სრუტეებში. ბულგარეთი იჩენს მიდრეკილებას დასთანხმდეს სრუტეთა რეჟიმის კონვენციის გადასინჯვას, რადგან ამით იმედი აქვს, რომ მოიპოვებს სიმპატიებს თავისი საკუთარი რევიზიონისტული ზრახვებისადმი“.

ოფიციოზური „ვინერ ცაიტუნგი“ მონტრეს კონფერენციას უკავშირებს ინგლისის, იტალიისა და გერმანიის დიპლომატიურ მოლაპარაკებებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „მონტრე გახდება შემდგომი დიპლომატიური მოლაპარაკების შესავალი, აგრეთვე ხელს შეუწყობს აქტუალური საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემების გამორკვევას. დაინტერესებული ხომ ყველა ხმელთაშუა ზღვისაკენ, სადაც ამჟამად ერთმანეთს ხვდებიან ძველი და ახალი იმპერიების ინტერესები“ (ადს).

—o—

დეპეშა ნანკინსა და სამხრეთ-დასავლეთ პოლიტიკურ საბჭოს

ბეიპინი, 22 ივნისი. ჩინეთის პრესა იუწყება, რომ გენერლები სუნ ჯე-იუანი (ხებეი-ჩახარის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე) და ხან ფუ-ციუ (შანდუნის პროვინციის გუბერნატორი) შეხვდნენ ერთმანეთს, განიხილეს მთელი რიგი საკითხები და საერთო დეპეშა გაუგზავნეს ნანკინის მთავრობასა და სამხრეთ-დასავლეთ პოლიტიკურ საბჭოს. გენერლები ორივე მხარეს მოუწოდებენ დაუყოვნებლივ შეაჩერონ სამხედრო სამზადისი. (ადს).

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებელი კომისიის მოწყობის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1936 წ. ივნისის 11-ს მოწონებული სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საფუძველზე საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლად მოწყობილ იქნეს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. ლ. ბერია (თავმჯდომარე), გ. მგალობლიშვილი, ფ. მახარაძე, თ. ჟღენტი, ნ. ლაკობა, ზ. ლორთქიფანიძე, ი. ჯიჯილევი, ვ. ბაქრაძე, კუდრიავცევი, არუთინოვი, აგრბა, გეურქოვი, ტატიევი, ა. რამიშვილი, მ. ტოროშელიძე, მ. ნიორაძე და გ. ხოხელია (კომისიის მდივანი).

2. აღნიშნულმა კომისიამ კონსტიტუციის პროექტი წარუდგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს არა უგვიანეს 1936 წ. აგვისტოს 20-სა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივნის მოვალ. დროებით აღმასრულებელი **ი. ჩხეიძე**

1936 წ. ივნ. 25, ტფილისი.

გამარჯვებული რაიონები

ტელეგრაფით „კომუნისტის“ რედაქციას

ქუთაისი, 25 ივნისი. დაზუსტებული ცნობებით 23 ივნისისათვის ქუთაისის რაიონში დამზადებულია 233 ტონა აბრეშუმის პარკი, გეგმის 116 პროცენტი. დამზადება გრძელდება.

საქალაქო კომიტეტის მდივანი **თ. კორსაველი.**

o

ცხაკაია, 25 ივნისი. ცხაკაიას რაიონში პარკის დამზადების გეგმა წარმატებით შესრულდა. რაიონს მოცემული გეგმის მიხედვით უნდა დაემზადებინა 112,000 კილოგრამი პარკი, სინამდვილეში კი დამზადდა 112,520 კილოგრამი, გეგმის 100,4 პროცენტი. პარკის დამზადება გრძელდება.

რაიკომის მდივანი **ი. ბეჟვაია**

o

სამტრედია, 25 ივნისი. პარკის დამზადების გეგმა რაიონმა 25 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა. 207,2 ტონის ნაცვლად დამზადებულია 215,8 ტონა, გეგმის 104,5 პროცენტი. დამზადება გრძელდება.

რაიკომის მდივანი **არობელიძე.**

◇ ◇ ◇

სასკოლო მშენებლობა

(21 ივნისისათვის)

საქართველოს ქალაქებში სასკოლო მშენებლობა, განსახკომის ცნობით, 21 ივნისისათვის ასეთ მდგომარეობაში იყო.

ბათომში (განსახკომი ამხ. ქათამაძე) 400 მოწაფიანი სკოლის მშენებლობა შესრულებული იყო 65 პროცენტით. კალენდარული გეგმის მიხედვით, შესრულებული უნდა ყოფილიყო 73 პროცენტით, ბათომის მეორე სკოლა მზად იყო 66 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 73 პროცენტით. სკოლების მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟ. ნადარეიშვილი.

სოხუმში (განსახკომი შანთარია) 400 მოწაფიანი სკოლის შენობა მზად იყო 52,4 პროცენტით (აშენებს ინჟ. ჩინკინი). **ოჩამჩირის** სკოლის შენობა მზად იყო 59 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 68 პროცენტით (აშენებს ამხ. ქუთათელაძე).

სტალინირში სკოლის შენობა მზად იყო 48 პროცენტით, გეგმის მიხედვით მზად უნდა ყოფილიყო 80 პროცენტით (აშენებს ინჟ. ცუცქირიძე).

ქუთაისში (განათლების განყ. გამგე (რუსიძე) 880 მოწაფიანი სკოლის შენობა მზად იყო 47 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 81 პროცენტით, მეორე სკოლის შენობა მზად იყო 61 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 79 პროცენტით (ამ სკოლების მშენებლობას ხელმძღვანელობს ამხ. ძოძენიძე).

ტფილისში (განათლების განყოფილების გამგე ამხ. კორნ. ქაცარავა)

1) საბურთალოს სკოლის) ინჟ. დონდუა) შენობა მზად იყო 51,57 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 58,73 პროცენტით.

2) მნათობის ქუჩის სკოლის (ინჟ. ცარახოვი) შენობა მზად იყო 46,2 პროც., მზად უნდა ყოფილიყო 58,15 პროცენტით.

3) ბრძოლის ქ. სკოლის (ინჟ. ფარცვანია) შენობა მზად იყო 45 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 55,39 პროცენტით.

4) სარეწაო კოოპერაციის ქ. სკოლის (ინჟ. ბაქრაძე) შენობა მზად იყო 38,29 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 49,69 პროცენტით.

5) კაბგეროვის ქ. სკოლის (ინჟ. ულუხანოვი) შენობა მზად იყო 44,5 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 57,48 პროცენტით.

6) გერმანელების ქ. სკოლის (ინჟ. ულუხანოვი) შენობა მზად იყო 41,64 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 54,75 პროცენტით.

7) ახალშენის ქ. სკოლის (ინჟ. კავლიშვილი) შენობა მზად იყო 80 პროც. მზად უნდა ყოფილიყო 75 პროცენტით.

8) ნინოშვილის ქ. სკოლის (ინჟ. ქუთათელაძე) შენობა მზად იყო 77 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 68,36 პროცენტით.

ამგვარად, საქართველოს ქალაქების სკოლების მზადყოფნა 21 ივნისისათვის (ტფილისის გამოკლებით) უდრის 57 პროცენტს, ტფილისის სკოლებისა კი — 49,5 პროცენტს.

სამეურნეო ორგანოების სკოლები

მოლიბდენმშენებლობა დაიწყო. ინგურქაღალდმშენს 11 ივნისისათვის სკოლის შენობა მზად ჰქონდა 18 პროცენტით. ჯეღლის ფერომარგანეცის ქარხანას სკოლის შენობა 21 ივნისისათვის მზად ჰქონდა 48 პროცენტით. ღრმა-ღელეში სატრიკოტაჟო კომბინატის სკოლა მზად იყო 66 პროცენტით. წილკნის კიროვის სახელობის ქარხნის სკოლა მზად იყო 50 პროცენტით. ინჟინერთა ქუჩაზე ხრამჰესის სკოლა მზად იყო 38 პროცენტით.

ნ. მექვაბიშვილი

გ. კიკნაძე

გერმანიის ფაშისტთა „პედაგოგიკა“

გერმანიის ფაშიზმი სახელმწიფოს სათავეში მოქცევიდანვე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დაუფლებოდა მოზარდ თაობას, რომელიც მისი აზრით, წარმოადგენს „ცხოვრების გამოცდილებით წაუბილწავ მასას“.

თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა“ ჰიტლერმა დასახა ფაშისტური პედაგოგიკის „ძირითადი საფუძვლები“. რადგან დადებითი, ნამდვილი მეცნიერება სრულიად შეუთავსებელია რასიულ - დემაგოგიურ მისტიკასთან, რადგან ჭეშმარიტი მეცნიერული ცოდნით მასების შეიარაღება სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს მონოპოლისტური კაპიტალის დიქტატურისათვის, ჰიტლერმა წამოაყენა დებულება, რომ „მეცნიერულად ნაკლებ განათლებული, ხოლო ფიზიკურად ძლიერი ადამიანი. კარგი და მტკიცე ხასიათით, ხალისიანი და გამბედავი, მტკიცე ნებისყოფით აღჭურვილი, უფრო სასარგებლოა საზოგადოებისათვის, ვიდრე გონებრივად განვითარებული ადამიანი“.

უხეში ფიზიკური ძალის, გაწვრთნილი ჯარისკაცის კულტი დაუდო ჰიტლერმა საფუძვლად მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს. ფაშისტებმა გერმანიის სკოლებიდან განდევნეს სასწავლო საგნების 98 პროც. როგორც ბალასტი და ნაციონალური აღზრდის მიზნებისათვის მიუღებელი. ჰიტლერის დირექტივების საფუძველზე გერმანიის სკოლების „რეორგანიზებული“ პედაგოგიკა აგებულ იქნა „ბელადის, რასის, არმიისა და რელიგიის“ პრინციპებზე. ეს პრინციპები დაედო საფუძვლად სკოლების მუშაობის ყოველდღიურ პრაქტიკას.

სკოლებში „ბელადის“ იდეა ხორციელდება მასწავლებლის „განსაკუთრებული უფლებებით“ აღჭურვის გზით. გერმანიის ფაშისტები უნერგავენ ახალთაობას აზრს, რომ ოფიცრისა და პედაგოგის როლი ერთი და იგივეა. ფაშისტური განათლების ორგანოები პირდაპირ აცხადებენ, რომ მასწავლებლად პირველ რიგში აყვანილ უნდა იქნენ დამსახურებული და კარგად გაწვრთნილი უნტერ-ოფიცრებიო; მასწავლებელთა აღჭურვა „განსაკუთრებული უფლებებით“ და მათი გასამხედროება მოსწავლეთა შორის „ბელადისადმი“ განუსაზღვრელი მორჩილების და მისი კულტის შთანერგვის საუკეთესო საშუალებაა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ ფაშისტური გერმანიის სკოლებში შემოღებულია მოწაფეთა ფიზიკური დასჯა. რასაც „თეორიული დასაბუთებაც“ კი გამოუნახეს. განათლების მინისტრმა შემმა განაცხადა. „ფიზიკური ტკივილი განმაკეთილშობილებელ გავლენას ახდენს აღსაზრდელზეო“.

„მესამე იმპერიის“ სწავლა აღზრდის ძირითად და წამყვან საგანს შეადგენს „რასათმცოდნეობა“. გერმანიის სკოლებში ამ „საგნის“ შინაარსი აგებულია დამახინჯებულ ბიო - ანთროპოლოგიურ მასალებზე. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გერმანიის ფაშიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამართლებისათვის ბიოანთროპოლოგიის პრინციპებიც არ აღმოჩნდა საკმარისი. ნამდვილი გერმანელობის ანთროპოლოგიური ნიშნებით განსაზღვრა მთელ რიგ შემთხვევებში არასასურველ შედეგებს იძლეოდა თვით ფაშისტებისათვის, ამიტომ შემდეგ დაიწყეს „მეცნიერული ძიება“ არიული რასის ფსიქოლოგიური თვისებების თავისებურებისა. ამრიგად, რასული თეორია ამ შემთხვევაშიაც გადატანილ იქნა წმინდა მეტაფიზიკურ - მისტიკურ სფეროში, რომელსაც საერთო არა აქვს რა თუნდაც ლიბერალური ბურჟუაზიის დამახინჯებულ ანთროპოლოგიასთან.

ფაშისტური რასული თეორიის მიხედვით, გარეგნულ ფიზიკურ — ნიშნებთან ერთად არიელს საჭიროა ახასიათებდეს ნამდვილი „გერმანული სული“, თუმცა ზოგჯერ ჭეშმარიტ გერმანული ფიზიკური თვისებების მქონე ადამიანში შეიძლება იყოს არა-გერმანული სულიც. მაგალითად, — ამბობენ ფაშისტები — ტელმანი მართალია გარეგნული ნიშნების მიხედვით ნამდვილი გერმანელია, მაგრამ მისი „სული“ არა გერმანულია, არამედ ებრაული, რადგან იგი მარქსისტი — ბოლშევიკია. „მარქსიზმი — ეს ებრაელობაა“ — ამბობენ ისინი. აქედან „დასკვნა“: რაკი ტელმანის „სული“ ებრაულია, იგი წმინდა არიელი არ არის!

მეორე საწინააღმდეგო მაგალითი: თვით ჰიტლერის გარეგნული შეხედულება არ ამტკიცებს მის არიელობას. ნორდელს (ჩრდილოელს) უნდა ახასიათებდეს მაღალი და მოყვანილი ტანი, თმის ღია ფერი, ცისფერი თვალები, თხელი და სწორი ცხვირი და სხვ. ჰიტლერს და სხვა მთელ რიგ ფაშისტურ ხელმძღვანელებს კი ასეთი ნიშნები არ გააჩნიათ. მაშასადამე, ფაშისტური ანთროპოლოგიის საქმესა და რეალურ სინამდვილეს შორის დიდი შეუსაბამობა არსებობს. ეს წინააღმდეგობა დაუძლეველია.

ფაშიზმის რასული თეორია მიმართულია, რასაკვირველია, არა მარტო ებრაელების, არამედ და უმთავრესად ბოლშევიკების წინააღმდეგ. ასეთი მიმართულებით ასწავლიან „რასათმცოდნეობას“ გერმანიის სკოლებში. რასულმა თეორიამ გერმანიის ფაშიზმს „საფუძველი“ მისცა გასწორებოდა „არა-არიელ“ პედაგოგებს. „არა-არიელი არ შეიძლება იყოს პატიოსანი, სანდო პედაგოგიო“ — განაცხადა გერმანიის განათლების მინისტრმა შემმა. 1933 წლის 8 აპრილის კანონის თანახმად გერმანიის სკოლებიდან განდევნეს არამარტო კომუნისტები, არამედ არაფაშისტურად მოაზროვნე „საეჭვო“ მასწავლებლებიც. სამაგიეროდ მიიწვიეს სპეციალისტი რასისტები, რომლებიც თვალის, ცხვირის მოყვანილობის, თმის ფერისა და ფაშისტური სულის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით „აკმაყოფილებდნენ“ მოთხოვნას.

ასეთსავე მეთოდებს იყენებდნენ და იყენებენ ახლაც ფაშისტები „საეჭვო“ მოწაფეებისაგან საშუალო და უმაღლესი სკოლების „გასაწმენდად“ თუ დაწყებითს სკოლებში მოწაფეთა ასეთი მასობრივ წმენდას ადგილი არა აქვს, სამაგიეროდ იქ ფართოდ ნერგავენ ნაციონალურ და რასულ შუღლს გერმანელებსა და არაგერმანელ (ებრაელ და სლავ) მოწაფეთა შორის.

რასული თეორიის საფუძვლებზე გარდაჰქმნეს ფაშისტებმა ლიბერალური ბურჟუაზიის მიერ შექმნილი — რამდენადმე მაინც მეცნიერული ფსიქოლოგია და, კერძოდ, ბავშვთა ფსიქოლოგიაც, რომ ამით სკოლების ფაშიზაცია გაემართლებინათ.

ფაშისტთა მტკიცებით, მომავალი ადამიანის სამეურნეო მდგომარეობა და პოლიტიკური შეხედულებანი წინასწარ განსაზღვრულია რასული სისხლის თავისებურებით. თანდაყოლილი მომენტები განსაზღვრავს მის ბედსა და უნარს. ეს თვისებები მარადიულია, ამიტომ ფსიქოლოგია გამოცხადდა კვლევის ობიექტს მოკლებულად და ამისდა მიხედვით ზედმეტად იქნა მიჩნეული. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ მიუნხენის აკადემიიდან განდევნეს ცნობილი ფსიქოლოგი ვილიამ შტერნი. როგორც „არაარიელი“. ასეთივე ბედი ეწია ფსიქოლოგიის მთელ რიგ სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებს. ფაშისტურ-პედაგოგიური ფსიქოლოგია, რომელიც ნიღაბაფარებულ დემაგოგიას წარმოადგენს, სკოლაში ფაშიზმის ზოოლოგიურ [illegible] პოლიტიკის გატარებისათვის მიმართავს გერმანიის მშრომელი მოსახლეობის ბავშვთა ნიჭსა და უნარის ყოველმხრივ შებორკვას. იგი მოითხოვს, რომ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღებისა და სიმწიფის მოწმობისათვის გამოცდების ჩაბარების დროს ყურადღება მიექცეს უმთავრესად რასულობას და პოლიტიკურ კეთილსაიმედობას და არა ნიჭსა და ცოდნა-წარმატებას. ფაშისტ „ფსიქოლოგ“ ტობიასის განცხადებით, მოსწავლეთა შეფასება ცოდნისა და წარმატების მიხედვით სახიფათოა გერმანიის ფაშიზმისათვის, ვინაიდან ჭარბი ნორდიული სისხლისმქონე ახალგაზრდობაში ცოდნა ნაკლებია, მაგრამ სამაგიეროდ მასში „მაღალია“ რასულობა. ტობიასი ნორდიული სისხლისმქონე ახალგაზრდობაში გულისხმობს მათ, რომლებიც „ჰიტლერის ახალგაზრდობის კავშირის“ აქტიური მონაწილენი არიან. რასაკვირველია, ეს ახალგაზრდობა არ ეწაფება მეცნიერებას და საერთოდ ცოდნის შეძენას და უფრო იწრთვნება მუშათა ორგანიზაციების დარბევაში. ტობიასის მტკიცებით, ჭარბი ნორდიული, არიული სისხლისმქონე ახალგაზრდობის თავისებურებას შეადგენს. გვიან მომწიფება, ცოდნის შეძენის და ზრდის პროცესის უთანაბრობა და აბსტრაქტული მსჯელობის ნაკლები ინტერესი. ყველა ეს თვისება, მისი განცხადებით, აღმოსავლურ რასას, ებრაელებს და სლავებს ახასიათებთ. ამით ტობიასი „ასაბუთებს“ ფაშიზმის ბელადის ლოზუნგს: ახალგაზრდობას სჭირია ნაკლები ცოდნა და მეტი პრუსიულ-ჯარისკაცული გაწვრთნაო.

საბჭოთა კავშირში მოსწავლეთათვის სისტემატიზებული ცოდნის მიცემის და საერთოდ მეცნიერებათა საფუძვლების შეთვისების საქმისათვის დიდი ყურადღების მიქცევას ფაშისტი ფსიქოლოგი ტობიასი აცხადებს აღმოსავლურ რასის სპეციფიკურ თვისებად. ტობიასის ამ უტიფარ ფაშისტურ დემაგოგიაში აშკარად გამოსჭვივის ერთი მხრივ მხეცური სიძულვილი მარქსიზმისა და საბჭოთა კავშირისადმი და მეორე მხრივ უხეში ცილისწამება გერმანიის მშრომელი ხალხის შვილების ნიჭსა და უნარზე.

ფაშისტური გერმანიის პედაგოგიკის მესამე „იდეა“, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული „ბელადისა“ და „რასის“ იდეასთან, არის არმია. მოსწავლე ახალგაზრდობის სამხედრო ცოდნით შეიარაღება, როგორც მილიტარისტული სახელმწიფოს იდეალი, ფაშიზმმა სკოლების მთელი მუშაობის ცენტრად გახადა. სასწავლო გეგმები მთელ სახალხო განათლების სისტემაში აშენებულია მილიტარიზმის თვალსაზრისით. „არმიის იდეა“ შუქდება არა მარტო თეორიული საგნის სახით. არამედ შექმნილია ორგანიზაცია არმიის თეორიისა და ტაქტიკის შესასწავლად. დაწყებითი სკოლიდანვე მოწაფეები ეჩვევიან მწყობრად სიარულს, სროლას, სწავლობენ ტოპოგრაფიას, იღებენ სურათებს. საშუალო სკოლის მოწაფეები, როგორც მომავალი ოფიცრები, აწარმოებენ აგრეთვე სამანევრო ხასიათის სროლას. ასე გრძელდება უნივერსიტეტის დამთავრებამდე. ფაშისტური პედაგოგიკა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ სკოლებში „არმიის იდეის“ გატარებას, „რასულ იდეასთან“ ერთად მთავარი ადგილი დაეთმოს.

მილიტარიზაციის საკითხი სკოლებში შუქდება გერმანიის მიერ ახალი იმპერიალისტური ომისათვის მზადებასთან დაკავშირებით. დიდი ხანი არ გასულა მის შემდეგ, რაც ნიურნბერგში სასკოლო გამოფენაზე ნაჩვენები იქნა ბავშვთა სამხედრო იარაღები. ფაშიზმს არ გამორჩა მხედველობიდან ბავშვთა სათამაშოებიც კი. ბავშვთა სათამაშოების ყველა საწარმომ გერმანიაში ფაშისტების დირექტივებით დაიწყო უმთავრესად სამხედრო ხასიათის სათამაშოების გამოშვება. გერმანიის სკოლების ფაშისტი-ხელმძღვანელები სკოლების მიღწევის მთავარ მაჩვენებლად სთვლიან იმას, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი ჰიტლერის შემდეგი ბრძანების შესრულება: „დიდი ბედნიერება იქნებოდა რომ ბავშვებს გაეგოთ ჯარისკაცის სულის არსიო“.

რელიგიის სწავლება გერმანიის სკოლებში ჰიტლერის გაბატონებამდე ატარებდა ნაწილობრივ მორალის, როგორც საგნის სწავლების ხასიათს. ფაშიზმის გაბატონების პირველი დღიდანვე რელიგია გახდა ერთერთი ძირითადი და სავალდებულო საგანი. ფაშიზმის თეორეტიკოსების აზრით, რელიგია განხილულ უნდა იქნას, როგორც ისეთი იდეოლოგია, რომელიც საუკეთესოდ უზრუნველჰყოფს მოსწავლეებში ხელისუფლებისადმი „მორჩილების სულის“ ჩამოყალიბებას. ამისათვის ყველა გაკვეთილზე შემოღებულია ლოცვები. რელიგიის საგნის მასწავლებლები გაკვეთილზე მოწაფეებს უხსნიან „კლასთა ბრძოლის ფიქციას“, უნერგავენ ებრაელებისა და კომუნისტების სიძულვილს და ქრისტიანობას. შემმი აცხადებს, „ქრისტიანობა და გერმანიზმი უწყვეტლების უმაღლესი კანონი არისო“.

ახალი თაობის რელიგიური აღზრდა, რა თქმა უნდა, მიმართულია კომუნიზმის წინააღმდეგ. ამისათვის კი აუცილებელია ახალთაობის გაბრუება საშუალო საუკუნეთა მისტიციზმითა და ქრისტიანიზმის ბანგით.

დანარჩენი საგნების სწავლებაც ფაშისტურ გერმანიაში უკავშირდება ამ ოთხი ძირითადი „იდეის“ შეთვისებას. მაგალითად, გეოგრაფია ისწავლება, როგორც გეოპოლიტიკა და სამხედრო გეოგრაფია. დედაენა და ლიტერატურის პროგრამა აშენებულია რასულობის, ანტისემიტიზმისა და იმპერიალისტური პოლიტიკის გამართლების საფუძველზე. მათემატიკური ამოცანები შედგენილია სამხედრო და რასული სტატისტიკის მასალებზე და სხვ.

ასეთია მოკლედ ფაშიზმის „თეორია“ და პრაქტიკა მოზარდი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის დარგში.

ფაშიზმის სასკოლო პოლიტიკის ძირითადი მიზანია — მოსწავლეთა გონებაში მოსპოს კლასთა ბრძოლის იდეა, ყოველმხრივ შებორკოს ბავშვთა დამოუკიდებელი აზროვნება და ისტორიული მოვლენების კრიტიკულად განხილვის უნარი, ჩაუნერგოს მათ პრუსიულ-ჯარისკაცული სული.

ფაშიზმის დიქტატორის ქვეშ დაილუპა გერმანიის სკოლა და გერმანიის პედაგოგიკა. მონოპოლისტურმა კაპიტალმა ფაშიზმის დემაგოგიური მეთოდებით ფეხქვეშ გასთელა გერმანიაში პედაგოგიური მეცნიერების დარგში საუკუნეების განმავლობაში მოპოვებული სწავლა-აღზრდის პრინციპები. ფაშიზმი — ბარბაროსობაა. ამის ცოცხალი ილუსტრაციაა აგრეთვე ფაშისტური „პედაგოგიკა“.

ექ. მ. ნოდია

ტფილისის საკურორტო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ტფილისის საგარეუბნო კურორტებზე

ტფილისის საგარეუბნო კურორტები, უმთავრესად, საბავშო კურორტებია. საბჭოთა ხელისუფლება მოზარდი თაობის მოვლას და აღზრდას უდიდეს ყურადღებას აქცევს. ეს გარემოება გვავალებს, რომ სეზონს დროულად და სათანადო მომზადებით შევხვდეთ. სამწუხაროდ ჯერჯერობით არცერთი საგარეუბნო კურორტი არ არის კეთილმოწყობილი სანიტარულ-ტექნიკური თვალსაზრისით. არცერთ კურორტს არა აქვს წყალსადენი, კანალიზაცია. ხეირიანი ქუჩები. კურორტები საბინაო ფონდის მხრივაც სივიწროვეს განიცდიან. ყველაფერი ეს აიხსნება ამ კურორტებისათვის სათანადო კაპიტალურ დაბანდებათა უქონლობით. მიუხედავად ამისა, წელს მაინც ბევრი რამ არის გაკეთებული.

კურორტი კოჯორი მიმდინარე წლიდან სავსებით უზრუნველყოფილია ზაჰესის ელექტრო-ენერგიით, ყველა წყარო გულმოდგინედ შეკეთებულია, დანალექებისაგან გაწმენდილია ჭები, გადიდებულია მათი დებეტი. ამავე მიზნით კაპტაჟი გაუკეთდა ყველა წყაროს, ზოგი დაკარგული წყარო ახლად აამუშავეს, კაპიტალურად შეკეთებულია აქამდე უყურადღებოდ მიტოვებული აუზები, ზოგან ახლებიც არის მოწყობილი. ამჟამად სწარმოებს ყველა ჭისა და წყაროს წყლის ბაქტერიოლოგიური და ქიმიური ანალიზები, რის შემდეგაც ჭებზე გაკეთდება წარწერები წყლის ვარგისიანობის შესახებ. სასმელად უვარგისი წყალი გამოყენებული აქნება მხოლოდ სამეურნეო საჭიროებისათვის.

კურორტები უზრუნველყოფილი არიან მაღალი კვალიფიკაციის სანიტარული ზედამხედველობით, საგრძნობლად გაძლიერებულია სანიტარ-მეეზოვეთა შტატი, გამოყოფილია სპეციალური სანიტარული ტრანსპორტი, მოგვარებულია აგარაკებიდან ნაგვის ყოველდღიური გატანა და საპირფარეშოების სისტემატიური დეზინფექცია. გაძლიერებული იქნება სანიტარული ზედამხედველობა კვების სავაჭრო წერტილებზე. ამ ღონისძიებათა შედეგად მივიღებთ კურორტების სამკურნალო ფაქტორთა მაღალ ეფექტიანობას. დიდი ყურადღება ექცევა ტყის კულტურებსა და კურორტების დეკორატიულ გამწვანებას. ამ მიზნით ყველა კურორტზე გაშენებულია 6-7-წლიანი ფიჭვების, ათეული ათასობით ნერგები. (კოჯორში, მანგლისში, კიკეთში და წყნეთში),

წყნეთში წყაროების დებეტის გადიდების მიზნით უკვე ჩატარებულია საგამოკვლევო საველე მუშაობა. ამჟამად მუშაობენ წყაროების შესაერთებლად, მანგლისისა და კიკეთის ელექტრო სინათლით უზრუნველსაყოფად შეძენილია ტრაქტორები. კურორტების კეთილმოწყობის მიზნით ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველო მთავარი ქუჩების გასწვრივ აკეთებს სტანდარტულ მესრებს, შეკეთებული იქნება აგრეთვე ქუჩები. ნაცვლად ძველი უმსგავსი ფურნისა, რომელიც ანტისანიტარულ პირობებში იყო, აშენდა ცენტრის მოშორებით სანჰიგიენო მხრივ სავსებით დამაკმაყოფილებელი ახალი ფურნე და თორნე. კუმისის ტბა, რომელსაც დაშრობა მოელოდა, ამჟამად მოყოლილია კურორტთა სამთო-სანიტარული დაცვის ზონაში. მის დასაცავად უკვე მიღებულია ღონისძიებანი და მისი ძვირფასი სამკურნალო ტალახი სულ მოკლე დროში ფართოდ იქნება გამოყენებული. წყნეთისა და კიკეთის შესახებ დღემდე არ მოიპოვება არავითარი მასალა, რის მიხედვითაც შეიძლებოდეს მსჯელობა მათი კლიმატური თვისებების შესახებ. ამ კურორტებზე აქამდე არ ყოფილა მოწყობილი მეტეოროლოგიური სადგურები. ამჟამად წყნეთში უკვე დადგმულია მეტეოროლოგიური სადგური, საჭირო ხელსაწყოებით.

ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველოს თავის კურორტებზე წინათ არ ჰქონდა არცერთი სანიტარული საწოლი. ამ სეზონში კი მას ექნება ხუთი სანატორიუმი. მანგლისში —2 ბავშვთათვის და ერთი მოზარდთათვის, კოჯორში — ერთი ბავშვთათვის (100 საწოლით) და ერთი მოზარდთათვის (100 საწოლით). კოჯორსა და მანგლისში იხსნება პოლიკნიკები, კიკეთში კი ამბულატორია და აფთიაქი.

რაც შეეხება არაორგანიზებულ მოაგარაკეთ, ამათთვის მანგლისის ხეივანი ხელშეკრულებით გადაეცემა ა-კ. სამხედრო სკოლას, რომელიც კისრულობს მოაგარაკეთა კულტურული და ფიზკულტურული გასართობებით უზრუნველყოფას (კონცერტი, კინო, ორკესტრი, წარმოდგენები, ტირი, ვოლეი-ბოლი, ტენისი, ბასკეტბოლი, კრაკეტი და სხვ.). კოჯრის არაორგანიზებული მოაგარაკენი კი ასეთ მომსახურეობას მოკლებული იქნებიან, რადგანაც ჯერჯერობით უსახსრობის გამო ვერ შევძელით საამისო პირობების შექმნა.

ტფილისის კურორტები თავიანთი გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით, ბუნებრივი სიმდიდრითა და აგრეთვე იმ მოთხოვნილებათა მიხედვით, რომელსაც ტფილისის მშრომელი მასა და ბავშვთა მოსახლეობა უყენებენ, უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებული მნიშვნელობის კურორტებად. ცხადია, ეს ადგილები უნდა გადაიქცნენ კულტურულ კურორტებად, სადაც შესაფერისი დასვენების საშუალება ექნებათ საქართველოსი და ამიერ-კავკასიის სანიმუშო დედა-ქალაქის მშრომელებს.

◇ ◇ ◇

რატომ აყოვნებენ სასკოლო მშენებლობას

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

გურჯაანის რაიონში სკოლების დიდი ნაწილი მოთავსებულია ძველ, უვარგის შენობებში. ხშირია შემთხვევა, რომ სკოლა საცხოვრებელ ბინაშია მოთავსებული. (ვეჯინის არასრული საშუალო სკოლა, კარდანახისა და გურჯაანის საშუალო სკოლები). სასკოლო შენობების სიმცირისა და არსებული შენობების უვარგისობის გამო მთელ რიგ სკოლებში მეცადინეობა სამ წყებად მიმდინარეობს. ვეჯინის არასრული საშუალო სკოლა 800-მდე მოწაფით მოთავსებულია ორ შენობაში, სადაც სულ ექვსი ოთახია. ძველი გურჯაანის საშუალო სკოლა (1200 მოწაფით მოთავსებულია 8 საცხოვრებელ სახლში. ეს შენობები ჭუჭყიანი და სრულიად უვარგისია. მათი გამოყენება არამც თუ სკოლებისათვის, არამედ საცხოვრებლადაც არ ვარგა.

ასეთივე მდგომარეობაა ჯიმითსა და კარდანახის სკოლებში.

ამას ყურადღება მიაქციეს რაიკომის ბიურომ და რაიაღმასკომმა. გადასწყდა კარდანახის, ვეჯინისა და ძველი გურჯაანის საბჭოებში დაეწყოთ სასკოლო მშენებლობა. კოლმეურნეებმა და მშრომელმა ერთპიროვნულმა გლეხებმა უსასყიდლოდ მოზიდეს ქვა, აგური, ქვიშა და კირი. მშენებლობა პირველ ხანებში კარგად მიმდინარეობდა, მაგრამ მერე შეჩერდა. შეფერხების მთავარ მიზეზად რაიაღმასკომი და განათლების განყოფილება საჭირო თანხების უქონლობას ასახელებენ.

გურჯაანის რაიონში სასკოლო მშენებლობა ფერხდება. აღმასკომი ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს.

არ. ბეციაშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის კულტპროპაგანდის განყოფილების გამგე ამხ. გ. მახარაძე სოფ. შუხუთის ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაციის წევრებთან ატარებს კონსულტაციას პარტიულ წაკითხვებზე.
ფოტო — გ. ორაგველიძისა.

ფერო-გიგანტის ქალების საქმე

ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხნის, ინჟინერ-ტექნიკოსთა და სამეურნეო მუშაკთა ცოლების მუშაობამ ორგანიზებული სახე მიიღო აპრილში. ქალებმა დღემდე უკვე თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს.

რით დაიწყო მუშაობა?

შეიქმნა ქალთა ორგანიზაციის მომქმედი საბჭო; მას ხელმძღვანელად მიუჩინეს ავტორიტეტიანი, ორგანიზაციის დაარსების ინიციატორი, ექიმი ქალი (ინჟინრის ცოლი) ამხ. ლუბა გორგასლიძე.

ქარხნის ქალთა ორგანიზაციამ მოაწყო ინჟინერ-ტექნიკოსთა ცოლების პირველი საკავშირო თათბირის შედეგების დამუშავება. ინჟინერ-ტექნიკოსთა და სტახანოველთა ცოლებმა საქარხნო შეკრებაზე დაბეჯითებით დამუშავდა აგრეთვე საკ. ცაკისა და სახკომსაბჭოს კანონპროექტი აბორტების აკრძალვისა და სხვა ღონისძიებათა შესახებ. ხუთასამდე ქალი, აღფრთოვანებით შეხვდა მთავრობის ახალ კანონპროექტს. ისინი ახალი ენტუზიაზმით ჩაებნენ ქარხნისა და საკუთარი ოჯახის ცხოვრებას უკეთ მოწყობაში.

ქალებმა პირველად სერიოზული ყურადღება მიაქციეს მუშათა კვების გაუმჯობესებას. გამოირკვა, რომ ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშათა სასადილოებში გამეფებული იყო დაუშვებელი ანტისანიტარია. კეთდებოდა მწირე და უგემური სადილები, სასადილოს მოსამსახურე პერსონალს არ ჰქონდა სუფთა ტანისამოსი, სასადილოებში არ იყო საკმაო დანა, ჩანგალი და სხვა.

ქალებმა ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად მიმართეს ქარხნის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს. მალე მდგომარეობა გამოსწორდა. საგრძნობლად გაიაფდა პროდუქტები. ასე, მაგალითად, ინჟინერ-ტექნიკოსთა სასადილოში, ჩვეულებრივი ყველი კილოგრამი 10 მანეთად ღირდა. ახლა კი 7 მანეთად იყიდება.

ქალთა ორგანიზაციის ხელი მისწვდა კულტურულ საყოფაცხოვრებო დაწესებულებებსაც. სპეციალური ბრიგადები სისტემატურად ამოწმებდნენ მუშათა ბინების სისუფთავეს და დიასახლისებს უკითხავდნენ სანიტარულ ლექციებს. ქალთა მოთხოვნით ქარხნის დირექციამ სპეციალური ფონდიც გამოჰყო სამაგალითო დიასახლისების დასაჯილდოებლად. ქალებმა გააჩაღეს საკლუბო მუშაობა. გამოჰყვეს ლამაზად მორთული ოთახი, სადაც სტახანოველები და მათი ცოლები სწავლობენ ევროპულ და კავკასიურ ცეკვას.

ქალთა ორგანიზაციამ დიდი მზრუნველობით მოჰკიდა ხელი დიასახლისთა შორის ჭრაკერვის პროფესიის დანერგვას. ამ მიზნით გამოიყო სპეციალური შენობა, შეძენილია საკერავი მანქანები, მოწვეული არიან კვალიფიციური მკერავები და მოკლე დროში გაიხსნება ჭრაკერვის კურსები, სადაც ასამდე სტახანოველის ცოლი უფასოდ შეისწავლის ხელობას.

წინათ, ქარხნის ტერიტორიის გამწვანებას სერიოზული ყურადღება არ ექცეოდა, ახლა ფეროგიგანტის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა სტახანოველებს — ამშვენებს დეკორატიული მცენარეები, გამწვანებული ხეივნები. ქალთა ორგანიზაციამ ბაღების დაცვაზე დააწესა კონტროლი და ქარხნის ტერიტორიის შემდგომ გამწვანებისათვის თავისი წინადადებანი შეიტანა.

ქალები დიდ ყურადღებას აქცევენ საბავშვო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას. ქარხანას არ ჰქონდა საბავშვო მოედანი, ქალთა წარმომადგენლებმა ამაზე სერიოზულად გაამახვილეს ქარხნის სამკუთხედის ყურადღება. დირექციამ ამ მიზნით 3500 მანეთი გადადო. ამ თანხით თითონ ინჟინერ-ტექნიკოსთა ცოლების საბჭომ, საბავშვო ბაღის მახლობლად მოაწყო მოედანი, საბანაო აუზი, შეიძინა 1200 მანეთად ღირებული სათამაშოები. ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით ზაფხულში 20 ინჟინერ-ტექნიკოსის და სტახანოველის ბავშვი იგზავნება კურორტებსა და დასასვენებელ სახლებში.

ამას წინათ სტახანოველი მუშის ი. დოლიძის ცოლს ორი ბავშვი შეეძინა, ორივე ვაჟი. ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივ ინახულეს დოლიძის მშობიარე ქალი და მას გინეკოლოგიური რჩევა-დარიგება მისცეს. შემდეგ აღძრული იქნა დირექციის წინაშე დოლიძის ოჯახისათვის ფულადი დახმარების მიცემის საკითხი. იგი დამაკმაყოფილებლად გადაიჭრა.

ქარხნის ინჟინერტექნიკოსთა ცოლების ორგანიზაციის საბჭომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების მიზნით ჩამოაყალიბა 2 ქართული და 2 რუსული პოლიტწრე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ სკოლების მუშაობა ჯერჯერობით ძალიან სუსტია; მსმენელები მეცადინეობას სისტემატურად არ ესწრებიან.

ფერომარგანეცის ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსთა და სამეურნეო მუშათა ცოლების მუშაობაში აქტიურ როლს თამაშობენ ქსენია ჩიტაძე, ნინო ჟორდანია, ლუბა გიგია, მარო ტიხონოვა და ვერა ნიჟარაძე. ამ ამხანაგების პრაქტიკული თაოსნობით და ქარხნის სამკუთხედის დახმარებით ფეროგიგანტის ქალთა ორგანიზაცია იბრძოლებს უფრო მეტი წარმატებებისათვის.

ვალ. ჩიქოვანი.

◇ ◇ ◇

ოთხი თვის შემდეგ ღორეშას ელექტრონი გაანათებს

(ხარაგაულის, რაიონი.)

სოფ. ღორეშას მშრომელნი სიხარულით შეხვდნენ ინჟინერ კოპაძესა და ვ. ქებაძეს. ისინი ჰიდრო-ელსადგურის ასაგებად ჩამოვიდნენ. მთელი მოსახლეობა დიდი ინტერესით შეუდგა სადგურის შენებას. ელსადგურის ძირითადი სამუშაოები უკვე დამთავრებულია, ახლა სწარმოებს 10 მეტრის სიმაღლის საგუბარისა და სამი კილომეტრის სიგრძის დახურული არხის მშენებლობა.

კიდევ ოთხი თვე და, მდინარე კვადოურა აამოძრავებს დინამომანქანას, რომელსაც 185 ცხენის ძალისა იქნება სადგური მომსახურებას გაუწევს ღორეშის კოლმეურნეობებს და მეზობელ სოფლებს. სოფლის მოსახლეობა, კოლმეურნენი ენერგიულად მუშაობენ მშენებლობის დამთავრებისათვის.

ლევ. ტაბატაძე.

პროფ. ა. ალადაშვილი

ბორჯომის წყლის გავლენა კუჭის სეკრეციაზე

ბორჯომის მადნეული წყლით მკურნალობის დროს ბუნებრივად იბადება კითხვა — როგორ მოქმედებს იგი კუჭის სეკრეციაზე (კუჭის წვენის გამოყოფაზე). ყველა ავტორები, უმთავრესად კლინიცისტები, ამტკიცებდნენ, ბორჯომის წყალი აძლიერებს სეკრეციასო (ექ. ვაწაძე, ვოლფკოვიჩი და სხვ.), ექ. ალექსანდროვსკი კი მივიდა დასკვნამდე, რომ ბორჯომის წყლის მიღება სადილ საუზმესთან ერთად აფერხებს საჭმლის მონელებას და არავითარ შემთხვევაში არ იწვევს სეკრეციის გაძლიერებას. ჩვენ განვიზრახეთ ამ საკითხის გამორკვევა ექსპერიმენტებით ცხოველებზე, რომელთაც ჰქონდათ გაკეთებული განცალკევებული კუჭი პროფ. ი. პავლოვის მეთოდით. ასეთ ძაღლს ვაძლევდით 100 გრ. ხორცს და როცა ვრწმუნდებოდით, რომ კუჭის სეკრეცია ნორმალურია, ვუმატებდით უგაზო და გაზიან ბორჯომის წყალს როგორც საჭმელთან ერთად, ისე ერთი საათის წინ საჭმლის მიღებამდე.

ყოველ ექსპერიმენტში ვიკვლევდით კუჭის წვენის რაოდენობას და მის შემადგენლობას — მკვრივ ნივთიერებას, სიმჟავიანობას და მხარშველ ძალას. ექსპერიმენტებმა მოგვცეს ასეთი შედეგები. უგაზო ბორჯომის წყლის მიღება საჭმელთან ერთად იძლეოდა კუჭის სეკრეციის ზომიერ გაძლიერებას. ამავე წყლის მიღება საჭმლის წინ არა სცვლის სეკრეციას. გაზიანი ბორჯომის წყალი კი ყველა შემთხვევაში მკაფიოდ აძლიერებდა კუჭის სეკრეციას.

იცვლებოდა კუჭის წვენის თვისებაც. ბორჯომის წყლის გავლენით მცირდებოდა მკვრივი ნივთიერების რაოდენობა, სუსტდებოდა მხარშველი ძალა, მხოლოდ სიმჟავიანობა კი მატულობდა. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს ბორჯომის წყლის მიღებამ მოგვცა სრულიად გარკვეული და საინტერესო შედეგები მაგრამ ცხადია, რომ ამ შედეგების გადატანა ადამიანზე და განსაკუთრებით ავადმყოფზე — შეუძლებელია. ამიტომ საჭირო იყო გვეწარმოებინა სათანადო კლინიკური დაკვირვებები ავადმყოფ ადამიანებზე. ასეთი დაკვირვებები მე ვაწარმოვე ბორჯომში ექ. გერსამიასთან, პიროცკოვთან და ექ. ქაჯაიასთან ერთად. დაკვირვებების მიზანი იყო გამოგვერკვია როგორ იცვლება კუჭის წვენის სიმჟავიანობა წყლის გავლენით კუჭის მთავარ დაავადებათა დროს: კუჭის ქრონიკული წყლულის, მჟავე გასტრიტის და ფუნქციონალურ ჰიპერაციდიტას დროს. უგაზო ბორჯომის წყალს ვაძლევდით ერთი საათის წინ საჭმლის მიღებამდე და საჭმელთან ერთად როგორც ერთდროულად, ისე ხანგრძლივად 3-6 კვირის განმავლობაში.

დაკვირვება ვაწარმოვეთ 230 ავადმყოფზე და მივიღეთ ასეთი შედეგები: ერთდროული მიღება 200 კუბიკური სანტიმეტრი ბორჯომის წყლისა ერთი საათის წინ საუზმემდე იძლეოდა კუჭის წყლულის დროს 73 პროც. სიმჟავიანობის დაქვეითებას. 23 პროც. კი გაძლიერებას. მჟავე გასტრიტის დროს სიმჟავიანობის დაქვეითება აღინიშნულია 63 პროც. მომატება 12 პროცენტით, 25 პროცენტი კი უცვლელი დარჩა.

სრულიად სხვა შედეგი მივიღეთ ფუნქციონალური ჰიპერაციდიტას დროს. სიმჟავიანობა დაქვეითდა მხოლოდ 6 პროცენტით, 56 პროც. იგი გაძლიერდა, 37 პროც. კი უცვლელი დარჩა.

ბორჯომის წყლის ორმაგი დოზის (400 კ. ს.) მიცემამ მოგვცა ამავე ხასიათის, მაგრამ უფრო მკაფიოდ გამოხატული შედეგები. ბორჯომის წყლის მიღებამ 3-6 კვირის განმავლობაში გამოიწვია სიმჟავიანობის ასეთი ცვლილება: კუჭის წყლულის დროს იგი დაქვეითდა 83 პროც., მოიმატა 17 პროც. მჟავე გასტრიტის დროს დაიკლო 56 პროც., მოიმატა 34 პროც. ფუნქციონალური ჰიპერაციდიტას დროს სიმჟავიანობამ დაიკლო ორი პროც., მოიმატა 60 პროც., უცვლელი დარჩა 38 პროც.

ამრიგად ბორჯომის წყალმა უმრავლეს შემთხვევაში მოგვცა კუჭის წვენის სიმჟავიანობის ცვლილება, მაგრამ ხასიათი ცვლილებისა დაკავშირებულია კუჭის ამათუიმ პათოლოგიურ ცვლილებასთან. კუჭის წყლული და მჟავე გასტრიტი იძლევიან უფრო ხშირად სიმჟავიანობის დაქვეითებას, ფუნქციონალური ჰიპერაციდიტა კი გაძლიერებას.

საინტერესო იყო გამოგვერკვია აგრეთვე სიმჟავიანობის ცვლილების სიძლიერე. ამ მიზნით ყველა შემთხვევა ჩვენ გავყავით სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში მოვათავსეთ შემთხვევები, რომელთა დროს სიმჟავიანობის ცვლილება 10-ს არ აღემატებოდა, მეორე ჯგუფში — 20, მესამეში — 30. აღმოჩნდა, რომ ბორჯომის წყლის 200 კ. ს. ერთხელ მიღების შემდეგ სიმჟავიანობის ცვლილება უმრავლეს შემთხვევაში 10-20 არ აღემატებოდა. ხანგრძლივი მიღების შემდეგ კი იგი ხშირად 20-30 აღწევდა.

გარდა ამ დაკვირვებებისა, როცა ბორჯომის წყალს ავადმყოფები იღებდნენ საჭმლის წინ, ჩვენ ვცადეთ მადნეული წყლის მიცემა სადილ საუზმესთან ერთად. თუმცა ექსპერიმენტები ცხოველებზე გვიმტკიცებენ, რომ ბორჯომის წყლის მიღება საჭმელთან ერთად იძლევა კუჭის სეკრეციის გაძლიერებას, მაგრამ ექსპერიმენტების დროს კუჭის წვენს ვიღებთ განცალკევებულად კუჭიდან, სადაც ტუტე წყალი არ შედის. კლინიკური დაკვირვების დროს კი მდგომარეობა სხვანაირია, ტუტე წყალი ერევა საჭმელს და ცხადია, რომ იწვევს კუჭის წვენის ნეიტრალიზაციას.

სიმჟავიანობის ცვლილების სწორი სურათის მისაღებად ავადმყოფებს მივეცით 200 კ. ს. ბორჯომის წყალი საჭმელთან ერთად და ორი საათის განმავლობაში ვიკვლევდით კუჭის წვენს ყოველ 15 წუთში. აღმოჩნდა, რომ პირველი 45 წუთის განმავლობაში სიმჟავიანობა კლებულობდა, შემდეგ კი საგრძნობლად მატულობდა და მთელი საათი ნორმაზე მეტი იყო. უფრო მკაფიო სურათი მოგვცა ბორჯომის წყლის მიღებამ საჭმლის მონელების ხანაში. სიმჟავიანობა მკაფიოდ ეცემოდა პირველ 15 წუთში და მხოლოდ 45 წუთის შემდეგ უბრუნდებოდა ნორმას, რის შემდეგ კი სეკრეცია ნორმაზე უფრო ძლიერი ხდებოდა.

ასეთია ჩვენი ფაქტიური მასალა, რომლიდანაც შეიძლება ასეთი დასკვნები გამოვიყვანოთ:

1. უგაზო ბორჯომის წყლის მიღება ერთი საათის წინ საჭმლის მიღებამდე მკაფიოდ სცვლის კუჭის სეკრეციას. მაგრამ მისი ეფექტი თავისებურად იცვლება კუჭის ამათუიმ დაავადების დროს.
2. კუჭის წყლულის დროს უმრავლეს შემთხვევაში სიმჟავიანობა მკაფიოდ ქვეითდება. დაახლოვებით ასეთსავე შედეგს იძლევა მჟავე გასტრიტი.
3. ფუნქციონალური ჰიპერაციდიტას დროს კი უმრავლეს შემთხვევაში აღინიშნულია სიმჟავიანობის გაძლიერება.
4. ბორჯომის წყლის მიღება საჭმელთან ერთად იწვევს კუჭის სეკრეციის გაძლიერებას, მაგრამ ამავე დროს ხდება კუჭის წვენის ნეიტრალიზაცია, რომელიც აფერხებს საჭმლის მონელების პროცესს.
5. გაზიანი ბორჯომის წყალი, როგორც საჭმლის წინ, ისე საჭმელთან ერთად მიღებული, აძლიერებს კუჭის სეკრეციას.

ბუნებრივად იბადება კითხვა — როგორ უნდა ავხსნათ ბორჯომის წყლის ასეთი არაერთფეროვანი გავლენა, რომელიც დაკავშირებულია წყლის მიღების დროსთან.

ამ საკითხზე ზოგადად პასუხს იძლევა ცნობილი ფიზიოლოგის პროფ. ი. პავლოვის სკოლა. ცხოველებზე ექსპერიმენტებით მან დაამტკიცა, რომ კუჭში შეყვანილი ტუტე იწვევს სეკრეციის გაძლიერებას, იგივე ნივთიერება 12-გოჯა ნაწლავში ანელებს სეკრეციას. გარდა ამისა, აღმოჩნდა რომ ნახშირმჟავას ხსნარით მორწყვა ამავე ნაწლავისა იძლევა კუჭის სეკრეციის გაძლიერებას (ლონკვისტი, სავიჩი, პიმენოვი და სხვ.).

უზმოზე მიღებული უგაზო ბორჯომის წყალი როგორც სჩანს, გადადის 12-გოჯა ნაწლავში უცვლელად და იწვევს შემაკავებელ რეფლექსს. საჭმელთან ერთად მიღებული კი უერთდება მარილმჟავას და იძლევა ქლორნატრიუმს და ნახშირმჟავას, რომელიც აძლიერებს სეკრეციას. უფრო ძნელი ასახსნელია ის შემთხვევები, როცა ბორჯომის წყალი კუჭის დაავადების დროს ზოგჯერ იძლევა სიმჟავიანობის დაქვეითებას, ზოგჯერ კი გაძლიერებას. ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ უფრო დაწვრილებით შევისწავლეთ ყველა შემთხვევა, როცა ბორჯომის წყლის უზმოზე მიღება სიმჟავიანობის გაძლიერებას იძლეოდა. აღმოჩნდა, რომ ასეთ შემთხვევებში შეფერხებული იყო კუჭის მოტორული ძალა ან გამოხატული იყო ჰიპერსეკრეცია, რის გამო კუჭში უზმოზე იმყოფებოდა მჟავე წვენი. ცხადია, ასეთ პირობებში ბორჯომის წყალი იძლეოდა იმისთანავე ეფექტს, როგორც საჭმელთან ერთად მიღებული, ე. ი. სეკრეციის გაძლიერებას.

რა პრაქტიკული დასკვნები შეიძლება გამოვიყვანოთ ჩვენი დაკვირვებებიდან?

დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ბორჯომის მადნეული წყალი მძლავრ მოქმედებას ახდენს კუჭის სეკრეციაზე და ამით საჭმლის მონელებაზე. მხოლოდ ამ წყლის ეფექტი დაკავშირებულია წყლის მიღების დროსთან და გაზების რაოდენობასთან.

კუჭის წვენის სიმჟავიანობის შესამცირებლად უნდა მივიღოთ უგაზო ბორჯომის წყალი ერთი საათის წინ საჭმლის მიღებამდე. გაზიანი ბორჯომის წყალი ყოველთვის აძლიერებს სეკრეციას.

მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თვით კუჭის დაავადების ხასიათს. ყველა იმ შემთხვევაში, როცა დაქვეითებულია კუჭის მოტორული ფუნქცია ან კუჭში არსებობს ჰიპერსეკრეცია, რომლის დროს უზმოზე ამ ორგანოში იმყოფება მჟავე წვენი, უგაზო ბორჯომის წყალი უკვე არ იძლევა ნორმალურ ეფექტს — არ ამცირებს სეკრეციას.

ბორჯომის წყალი, საჭმელთან ერთად მიღებული, თუმცა აძლიერებს კუჭის წვენის გამოყოფას, მაგრამ იგი იწვევს სიმჟავიანობის ნეიტრალიზაციას და ამით აფერხებს საჭმლის მონელების ნორმალურ მსვლელობას.

საერთოდ კი უნდა გვახსოვდეს, რომ ბორჯომის წყალი უმთავრესად სამკურნალო წყალია, რომლითაც ავადმყოფმა უნდა ისარგებლოს ექიმის რჩევით.

გიორგი ქუჩიშვილი

ჰაკოფ ჰაკოფიანს

დღეხარ სამოცდა —
— ათი წლის კართან,
განვლილ ბრძოლების
ჭაღარა გმოსავს;
მოვსულვართ შენთან,
ვით მეგობართან
და შრომის დაფნით
გდაფნავთ ჩვენს მგოსანს.

როგორც წარსული
ცხოვრების გერი,
გერთა ვაებას
აპყრობდი სმენას;
იყავ დევნილი,
იყავ მშიერი,
შენს ბედში მყოფებს
უნთებდი რწმენას.

სძულდი ბურჟუებს
და ფეოდალებს,
რომ არ უქმევდა
გუნდრუკს ეს ჩანგი;
რომ [illegible]
[illegible] თვალებს
და [illegible]
[illegible]

იმ დროს, როდესაც
სხვა პოეტები
სთესდნენ ეროვნულ
შუღლსა და მტრობას,
ბოლშევიკური
თავგამეტებით
ჰნერგავდი ხალხთა
სოლიდარობას.

და აჰა, დღეს ეს
მშრომელი ხალხი,
როგორც თვის პოეტს,
გდაფნავს და ხარობს;
ჩვენც აღტაცებულ
ვაშას მოგძახით
სულის თვისტომო
და მეგობარო!

◇ ◇

ჩვენ გვწერენ

იმის ნაცვლად, რომ სამართალი დაიცვას...

გრიშა ჩომახიძეს გურჯაანში ოფიციალურად რაიონის სახალხო მოსამართლე ეწოდება, მაგრამ გურჯაანელებმა კარგად იციან, თუ როგორ ემსახურება ეს კაცი სამართალს. ახლა ჩვენ გვინდა ამ ამბავმა სხვების ყურამდისაც მიაღწიოს.

1935 წელს გრ. ჩომახიძემ ველისციხეში 10 საქმე გაარჩია (ერთ დღეს). თვითეულ ბრალდებულს მან ას-ასი მანეთი მოსთხოვა სამგზავრო ხარჯების ასანაზღაურებლად. ჩამოსწერა ბრალდებულთა სია და გადასცა აღმასრულებელ შაქრო მირიანაშვილსა და ველისციხის ფინაგენტს ოსია თათულაშვილს. ეს უკანასკნელნი შეუდგნენ დავალების შესრულებას. ფული შეკრიბეს. მაგრამ ხელწერილი არავისთვის მიუციათ. თათულაშვილი აცხადებს: ჩემ მიერ აღებული 300 მანეთი ჩომახიძეს გადავეცი, მაგრამ ხელწერილი არ მოუციათ.

ასევე მოუგროვებიათ „სამგზავრო ხარჯები" სასამართლოს აღმასრულებლებს მირიანაშვილსა და პანტურიას, ხოლო მიღების საბუთები არ გაუციათ.

დამახასიათებელია შემდეგი ორი ფაქტი: ფინაგენტმა ოსია თათულაშვილმა ბრალდებულ ს. მამულოვს ჩომახიძის სახელით მოსთხოვა სამგზავრო 100 მანეთი. ბრალდებულმა უარი განუცხადა. მაშინ თათულაშვილმა უთხრა: „50 მანეთი მაინც მომეცი და თავს გაგანებებო". ფული მიიღო და ხელწერილი არ მიუცია. აღმასრულებელმა მირიანაშვილმა ბრალდებულ გულა მიტიჩაშვილს მოსამართლის სახელით 100 მანეთი გადაახდევინა. 25 მანეთიც პირადი ხარჯებისათვის დაამატებინა და არავითარი საბუთი არ დაუტოვებია.

აღსანიშნავია, რომ ჩომახიძე თვითეულ მგზავრობაზე 10-მდე ბრალდებულს ასამართლებს და სამგზავრო თვითეულ ბრალდებულისაგან 100 მან. ღებულობს.

„ურჩი გადამხდელების" მიმართ ძალას ხმარობენ. — ტიგრანა ბაირამოვს ხალიჩა 150 მანეთად გაუყიდეს. ასევე გაუყიდეს სხვადასხვა საოჯახო ნივთი: გოჭაძეს (ურიათუბანში), ალექსი გელაშვილს და სხ.

ჩომახიძე ქრთამებსაც ღებულობს. სასამართლოს მდივანს მაშო საყვარელიძეს ვილაცებმა მატყლი მოუტანეს. როცა მას შეეკითხნენ, ვისია მატყლიო, უპასუხა: „ბოლოს მეც გამაწუწკიანებენ, რადგანაც ჩომახიძისთვის გადასაცემ ნივთებს ჩემთან ეზიდებიანო".

ყოველივე ამას სჩადის კაცი, რომელიც მოწოდებულია სამართალი დაიცვას!....

არ. ბეციაშვილი
გ. ადუაშვილი

○

ადამიანს უსულგულოდ ეპყრობიან

ეტეროკოლიტით ავადმყოფ ქობულაშვილს, რომელიც ბიულეტენით სარგებლობდა, შარშან ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში კვებლუბმა და [illegible] გაუცხადეს: ქობულაშვილი ავად არ არის, სამუშაოს აცდენს და ბიულეტენს ნაცნობობით იღებსო.

ქობულაშვილი 14 თებერვალს ლოგინში ჩაწვა, გრიპით და ანგინით შეპყრობილი. დახმარების მაგიერ ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებმა მანუჩაროვამ და ბიჩკოვსკაიამ მასზე მითქმა-მოთქმა აატეხეს: 14 თებერვალს როგორ იწვა, როცა პლეხანოვის პროსპექტზე სეირნობდა, 16 თებერვალს კი ოპერაში ყოფილაო. ეს ამბავი ქობულაშვილმა რომ გაიგო, ინატრა: ერთი ავდგებოდე, რომ მითქმა-მოთქმას ბოლო მოვუღოო. მარტის [illegible] 23 თებერვალს, თუმცა ექიმი [illegible], სამუშაოზე გამოცხადდა. ახლა ქობულაშვილს საქმე გამოუცვალეს სხვა განყოფილებაში—სალაბორატორიო სამზარეულოში გადაიყვანეს. აქ მეტად გაუძნელდა მუშაობა გრიპისაგან ჯერ კიდევ განუკურნებელ ადამიანს. მალე გრიპი ფილტვების ანთებად გადაექცა და სიცოცხლეს კინაღამ გამოასალმა. ადამიანისადმი ასეთი უსულგულო მოპყრობა ფრიად შეუწყნარებელია.

ქობულაშვილის სავაქცინო განყოფილებიდან სალაბორატორიო სამზარეულოში გადაყვანა კვებლუბის, ბიჩკოვსკაიას და მანუჩაროვას ბრალია, რისთვისაც მათ პასუხი უნდა აგონ.

გ. ხენზაპა

○

მოუვლელი გზები

მივდივართ ტფილისიდან გორისაკენ შარაგზით. მცხეთამდე გზა ჩინებულია (საქართველოს სამხედრო გზა). მცხეთიდან ძეგვის სასოფლო საბჭომდე გზა გაჩენის დღეს გაწყევლინებს. ტლაპოები და გაუვალი ადგილები გღლის, მოძრაობის უნარს გკარგავს. ძეგვიდან ნიჩბისამდე გზა უფრო უარესდება, არ არის გაჭრილი თხრილები. წყალი მთელ გზას ეფინება და გავლა შეუძლებელი ხდება. ნიჩბისიდან კავთისხევის სასოფლო საბჭომდე ცოტა უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ თვით კავთისხევის საბჭოს სოფლებში ისევ იწყება დანგრეული ბოგირები და ოღრო-ჩოღრო გზები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ხევებსა და მდინარეებზე ხიდები არ არის. კავთისხევს ცხვირწინ ჩამოუდის მდინარე, რომელზედაც ხეც კი არ არის გადებული. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ დოესის მიდამოებშიაც.

სერგო ხვამლელი

◇ ◇ ◇

რაიონებში

უდაბნოში თივას უხეიროდ იღებენ

საგარეჯო. უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას საზამთრო საძოვრებზე ძალიან აქვს 2.700 ჰექტარი ბუნებრივი სათიბი და 640 ჰექტარი ნათესი ბალახები. გეგმა ითვალისწინებს თვითეული ჰექტარიდან 8 ცენტნერი თივის აღებას. შესაძლებელია კი მივიღოთ 15 ცენტნერზე მეტი. თივის მასობრივად აღების დრო დადგა. მეურნეობა კი ჯერაც არ არის მზად. არ არის შემოწმებული [illegible] ჩორჩები და ფასები. უფროსი აგრონომი ამხ. სამხარაძე, რომელსაც დაკისრებული აქვს თიბვის ხელმძღვანელობა, შვებულებაში წავიდა. არ არის მანქანა-იარაღების სათადარიგო ნაწილები და საწვავ-საცხებები მასალის მარაგი.

მ. დოლიძე.

◇

ფაბრიკა ცუდად მუშაობს

გალი. სანამ ჩაის კრეფა დაიწყებოდა, ნახაკევის ფაბრიკის ხელმძღვანელები აცხადებდნენ: „სეზონისათვის ყოველმხრივ მზად ვართო". მაგრამ როცა დაიწყო კრეფა, სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობა აღმოჩნდა. ფაბრიკას არ ჰყოფნის ფოთლის გასაფენი თაროები, ამის გამო ფოთოლს ხშირად მიწაზე აშრობენ. არა აქვთ საკმაო ელექტროენერგია, რაც როლერების გაცდენას იწვევს. გეგმით აქ 6 როლერი უნდა დადგმულიყო, არის კი 4. ფაბრიკას ესაჭიროება 50 მუშა. ჰყავს კი—20. არც ისინი არიან სათანადოდ მომზადებულნი.

ა. მარხულაია.
ს. ეხვაია.

◇

9 ცენტნერი თამბაქო ჰექტარზე

ჩხოროწყუ. სოფელ [illegible] კოლმეურნეობა „[illegible]" — ვადაზე ადრე დაამთავრა თამბაქოს გადარგვა. ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თამბაქოს მოვლა-დამუშავებას. დასახულია მიზნად, რათა კოლმეურნეობამ თითო ჰექტარზე წელს მიიღოს თამბაქო არანაკლებ 9 ცენტნერისა. საერთოდ რაიონში მოსავლის საუკეთესო პირი უჩანს.

კ. დგებუაძე.

ზუგდიდი ეჯიბრება აფხაზეთს

ზუგდიდი. მეაბრეშუმეობის განვითარებისა და კერძოდ პარკის დამზადების საუკეთესოდ ჩატარების მიზნით ზუგდიდის რაიონმა სოციალისტური შეჯიბრებაში გამოიწვია აფხაზეთი. ზუგდიდელებმა იკისრეს მიმდინარე წელს დაამზადონ 200 ტონა ხარისხოვანი პარკი, მოამზადონ 32 საუკეთესო ინსტრუქტორი და პარკის 19 მშრობელი, დაამზადონ საგრენაჟო ქარხანაში 1937 წლის საჭიროებისათვის 17.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

პარკის მიღება რაიონში უკვე დაიწყო. მიმღებ პუნქტებთან კოოპერაციის გახსნილი აქვს სავაჭრო წერტილები ფართო მოხმარების საქონლით. პარკის მოსავალი ერთობ კარგია. ორდენოსანმა ლუბა შენგელიამ ნახევარ კოლოფ თესლიდან 41,6 კგრ. პირველი ხარისხის პარკი მიიღო და ჩააბარა სახელმწიფოს. პარკის ასეთივე უხვი მოსავალი მიიღეს ლუბა კვარაცხელიამ, პაშა ოთხოზორიამ, ლუბა ჯანაშიამ, ვალოდია თოლორაიამ და სხვებმა.

პრ. გვაზავა.
ალ. გვახარია.

◇

სიტყვა საქმედ აქციეს

ლანჩხუთი. ციტრუსოვანთა სანერგეების სანიმუშო მოწყობაზე ლანჩხუთი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ქობულეთის რაიონთან. სოცშეჯიბრების ხელშეკრულებაში ლანჩხუთელებმა იკისრეს ტრიფოლიატის პიკირება 11,5 ჰექტარზე. ფაქტიურად კი პიკირებულ იქნა 13,5 ჰექტარზე. ტრიფოლიატის სათესი სკოლა 4,1 ჰექტარის ნაცვლად დაითესა 4,4 ჰექტარის რაოდენობით. უნდა გადამზადებულიყო 50 მყნობელი, მომზადდა კი 70.

რაიონის სანერგეები ურთიერთშორის ჩაბმულნი არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. სისტემატურად სთოხნიან სანერგეებს. რწყავენ მას ნაკელის წვენით და ანოყიერებენ მინერალური სასუქებით. სანერგეებში შემოღებულია საკონტროლო ფურცლები და მოწყობილია მუდმივი ბრიგადები.

მუშ. გ. კახიანი.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის ყიდვის ხელშეკრულების დარღვევა მანჯოუ-გოს მთავრობის მიერ

ტოკიოში სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის პროტესტი

მოსკოვი, 22 ივნისი. საკ. დეპეშათა სააგენტოს მიერ მიღებული ცნობების თანახმად, მანჯურიის მთავრობამ შეუწყვიტა დახმარებისა და პენსიების მიცემა საბჭოთა მოქალაქეებს — აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის ყოფილ მუშებსა და მოსამსახურეებს, და ამით დაარღვია ის ვალდებულებანი, რომელნიც მან იკისრა მანჯურიისათვის აღნიშნული რკინიგზის მიყიდვის შესახებ 1935 წლის შეთანხმების მე-11 მუხლით.

ამ საკითხზე საკ. დეპეშათა სააგენტოს მოეპოვება შემდეგი ცნობები:

მიმდინარე წლის დასაწყისიდან მანჯურიის მთავრობამ სხვადასხვა საბაბით იწყო აღნიშნულ გადასახდელთა ვალდებულების ანაზღაურების გაჭიანურება, ხოლო 16 აპრილს მანჯურიის ბანკმა პირდაპირ განაცხადა, მანჯურიის მთავრობის განკარგულებით ყველა ამ გადასახდელის გაცემა შეწყვეტილიაო. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა არიტამ, რომელსაც, როგორც ქვემოთაა აღნიშნული, მიმართა სსრ კავშირის ტოკიოში სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. იურენევმა, მხოლოდ ა-წ 20 მაისს მოგვცა გადასახდელთა ამ შეწყვეტის ოფიციალური ახსნა; მან განმარტა, რომ ის ღონისძიება არის შედეგი სსრ კავშირის უარისთქმისა აანაზღაუროს აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინიგზის მიმართ ზოგიერთ კერძო პირთა პრეტენზიები, რომლებიც ეკუთვნის იმ ეპოქას, როცა ხსენებული გზა სსრ კავშირის საკუთრებას შეადგენდა. მართლაც, გასული წლის დამლევს მანჯურიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სსრ კავშირის ხარბინელ გენერალურ კონსულს გამოუგზავნა წერილი ასეთი პრეტენზიების შესახებ, რომელთა საერთო თანხა 1.700.000 იენს უდრიდა, მაგრამ მას ეს თავისი გამოსვლა, რომელსაც სრულიად დაუსაბუთებელი ხასიათი ჰქონდა, არ დაუმტკიცებია საამისოდ აუცილებელი დოკუმენტებით. ბუნებრივია, რომ საბჭოთა მთავრობამ შეუძლებლად მიიჩნია დაეკმაყოფილებინა ასეთი პრეტენზიები, მით უფრო, რომ, აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინიგზის გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად, ასეთი მოთხოვნები დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარუდგინონ საბჭოთა მთავრობას, ხოლო უთანხმოებათა შემთხვევაში მათ არჩევენ სსრ კავშირის სასამართლოები, რაც საბჭოთა მთავრობამ მოაგონა მანჯურიის მთავრობას თავის ა-წ 17 მარტის ნოტით.

საბჭოთა მოქალაქეებისათვის დახმარებისა და პენსიების მიცემაზე უარისთქმამ ორჯერ გამოიწვია ჩვენი ხარბინელი გენერალური კონსულის პროტესტი — ა-წ 17 მარტს და 20 აპრილს. იმ ნოტის ასლი, რომელშიაც ეს უკანასკნელი პროტესტი იყო განცხადებული, გაეგზავნა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ არიტას 3 მაისს. ბ-მა არიტამ 20 მაისს გვიპასუხა, რომ მანჯურიის მთავრობის მოქმედებას მართებულად სთვლის, ვინაიდან სსრ კავშირი მისდამი მიმართულ პრეტენზიებს არ აკმაყოფილებსო. მაგრამ იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელემ ბ-მა კასემ 23 მაისს განუმარტა სსრ კავშირის ტოკიოს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მდივანს ამხ. ნეიმანს, რომ მინისტრის აღნიშნული განცხადება გაუგებრობაზეა დამყარებული და საბჭოთა მოქალაქეების კუთვნილი თანხის გადახდა 3-4 კვირის შემდეგ დაიწყებაო. მაგრამ ამან მაინც ხელი ვერ შეუშალა ბ-ნ არიტას — დაედასტურებინა 29 მაისს თავისი წინანდელი განცხადება.

იმის გამო, რომ ახალი წარდგინება, რომლითაც ამხ. იურენევმა ბ-ნ არიტას ა-წ 19 ივნისს გამართული საუბრის დროს მიმართა, უშედეგო აღმოჩნდა, ამხ. იურენევმა ბ-ნ არიტას გადასცა ახალი ნოტა, სადაც აღნიშნულია: იაპონიის მთავრობა ნაცვლად იმისა, რომ შეასრულოს თავისი დაპირება აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინიგზის გაყიდვის თაობაზე დადებული შეთანხმების შესრულებისათვის ხელშეწყობის შესახებ, სოლიდარობას უცხადებს მანჯურიის მთავრობას, რომელიც სსრ კავშირის მიმართ ცალკე პირთა დაუსაბუთებელი პრეტენზიების საკითხს უკავშირებს ამ მთავრობის იმ უდაო ვალდებულებათა საკითხს, რომ განსაზღვრული თანხა აძლიოს აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინიგზის ყოფილ მუშებსა და მოსამსახურეებს. ნოტაში აღნიშნულია, რომ მაშინ, როცა სსრ კავშირის უარი ეხება იმ ცალკე პირთა დაუსაბუთებელ მოთხოვნებს, რომელთაც თავიც კი არ შეუწუხებიათ და არ მიუმართავთ პირადად არც საბჭოთა მთავრობისათვის, არც საბჭოთა სასამართლოსათვის, მანჯურიის მთავრობის უარი იმაზე, რომ დაფაროს მანჯოუ-გოს ფინანსთა მინისტრის ხელმოწერით გამოშვებული სახაზინო ვალდებულებანი, ეხება აბსოლუტურად უდაო ვალდებულებათა ანაზღაურებას, რომლისაგან თავის არიდება წარმოადგენს აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინიგზის გაყიდვის შესახებ 1935 წლის შეთანხმების პირდაპირ დარღვევას: ამხ. იურენევი ხაზს უსვამს, რომ მანჯურიის მთავრობა, როცა ამ უდაო ვალდებულებებს უპირდაპირებს ცალკეულ პირთა შეუმოწმებელ და სრულიად დაუდასტურებელ მოთხოვნებს საბჭოთა მთავრობისადმი, არც კი ცდილა უფლებრივად დაესაბუთებინა თავისი ასეთი მოქმედება, ანდა დაედასტურებინა დოკუმენტალურად და იურიდიულად ზემოხსენებული პრეტენზიები სსრ კავშირისადმი.

უფრო მეტი, მანჯურიის მთავრობას არასოდეს უცნობებია თავის მიერ წამოყენებულ პრეტენზიათა სიაც კი.

ამხ. იურენევი შემდეგ აღნიშნავს, საქმე რომ თუნდაც სსრ კავშირისადმი დასაბუთებულ და უდაო პრეტენზიებს ეხებოდეს, მაშინაც კი საბჭოთა მოქალაქეებისათვის გადასახდელთა, კერძოდ მოხუცებისა და ინვალიდებისათვის პენსიების შეწყვეტა თანაბარი იქნებოდა ამ პირთა ქონების კონფისკაციისა მათი მთავრობისადმი წაყენებული პრეტენზიების დასაფარავად, რასაც პრეცედენტი არა აქვს საერთაშორისო ურთიერთობაში. ამხ. იურენევი ხაზს უსვამს, რომ მანჯურიის მთავრობის ვალდებულებანი აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინიგზის ყოფილ მოსამსახურეთა მიმართ აღემატება 7 მილიონ იენა დახმარებას და შეადგენს ერთ მილიონ იენაზე მეტ ყოველწლიურ პენსიას, მაშინ როცა დაუსაბუთებელი პრეტენზია სსრ კავშირის მთავრობისადმი განცხადებულია 1.700.000 იენის თანხისა. ამრიგად, თავისი მოქალაქეებისათვის ამ თანხის გადახდის უზრუნველყოფის აუცილებლობის საბაბით მანჯურიის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია ფაქტიურად მოახდინოს 10-ჯერ მეტი თანხის კონფისკაცია. ამხ. იურენევი აღნიშნავს, კიდეც რომ დავეთანხმოთ მანჯურიის მთავრობის თეზისს, რომ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინიგზის ყოფილმა მუშებმა და მოსამსახურეებმა თავისი შრომითი მონაზოგითა და პენსიებით უნდა აანაზღაურონ საბჭოთა მთავრობისადმი წაყენებული ყველა დაუსაბუთებელი პრეტენზია, ამ შემთხვევაშიც ძნელია კანონიერად მივიჩნიოთ მანჯოუ-გოს მთავრობის მოქმედება.

ამხ. იურენევი დასასრულ აცხადებს, საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია არ გამოთქვას თავისი მწუხარება იმის გამო, რომ იაპონიის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დასთანხმებოდა მანჯოუ-გოს მთავრობას და გაემართლებინა თავის განცხადებაში მანჯოუ-გოს მიერ 1935 წლის 23 მარტის ხელშეკრულების უხეში დარღვევა. საბჭოთა მთავრობა, გამოსთქვამს რწმენას, რომ იაპონიის მთავრობა, რომელმაც იკისრა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინიგზის გაყიდვის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის დროს ვალდებულება — ხელი შეუწყოს მის შესრულებას კეთილი ნების საფუძველზე, გადასინჯავს თავის დამოკიდებულებას ამ საკითხთან და „მიიღებს ხსენებული შეთანხმებით გათვალისწინებულ ზომებს, რათა უდაო გადასახდელთა გაცემა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის ყოფილი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაუყოვნებლივ განახლდეს რაიმე პირობათა და ახალ გამართულებელ ფორმალობათა შეუქმნელად, რომლებიც საქმით მათი გაცემის ფაქტიურ შეჩერებას იწვევენ".

◇

იდენის დარბაზობა ნეგუსთან

ლონდონი, 24 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, იდენი სადარბაზოდ ეწვია აბისინიის ნეგუსს და 45 წუთს ესაუბრა. საუბარს დაესწრო აბისინიის ელჩი. (ატს)

◇

ბეიპინში ფაქტიური ბატონ-პატრონი იაპონელები არიან

ბეიპინი, 23 ივნისი. დღეს ხელახლა გაიმართა იაპონელთა სამხედრო პარადი. იაპონელთა პატრულებმა დაიკავეს ქალაქის ყველა საკვანძო პუნქტი. იაპონელთა სადარაჯოები დაყენებულ იქნა ბეიპინში მყოფ უცხოეთის საელჩოთა ჭიშკრების მორიახლოსაც კი. ქალაქის ცენტრში იაპონიის ჯარების ნაწილებმა, რომლებიც სრული სამხედრო საჭურველით იყვნენ აღჭურვილნი გაიარეს ცერემონიული მარშით, მოახდინეს გადარბენები და სხვ. ბეიპინში დაბანაკებულ იაპონიის ნაწილებისათვის საიმპერატორო დროშის გადაცემის გამო მოწყობილი პარადის მიზანი ის იყო, რომ მთელი მოსახლეობის წინაშე მოეხდინათ დემონსტრაცია. იაპონიის ჯარები ქალაქის ფაქტიური ბატონ-პატრონებიაო (ატს).

◇

კონვენციის პროექტის განხილვა

მონტრე, 23 ივნისი. დღეს სრუტეების შესახებ კონფერენციის ღია სხდომაზე მოსმენილ იქნა იტალიის ნოტის ტექსტი. თურქეთის დელეგატმა თევფიკ რუშტი არასმა იმედი გამოსთქვა, რომ იტალიის დელეგაცია ახლო მომავალში შესძლებს დაესწროს კონფერენციას.

ბრიტანეთის დელეგატმა ლორდ სტენჰოპმა განაცხადა, ბრიტანეთის მთავრობა განწყობილია დაეთანხმოს სრუტეთა რემილიტარიზაციას, თუ მიღწეული იქნება დამაკმაყოფილებელი შეთანხმება სხვა საკითხებზეც. ასეთ საკითხთა შორის, სტენჰოპის სიტყვით, არის საკითხი სრუტეთა კომისიისა, რაც პროექტში ნახსენები არ არის; ინგლისი კი ფიქრობს, რომ ამ კომისიას შეუძლია სარგებლობა შემდეგშიაც მოიტანოს. ამ შენიშვნებით სტენჰოპმა თანხმობა განაცხადა მიღებულ იქნას პროექტი, როგორც ბაზა დისკუსიისათვის.

შემდეგ გამოვიდნენ ამხ. ლიტვინოვი და საფრანგეთის დელეგატი პოლ-ბონკური.

რუმინეთის, საბერძნეთისა და სამხრეთ-სლავიის დელეგატებიც აგრეთვე დასთანხმდნენ წინადადებას, რომ პროექტი მიღებულ იქნას საფუძვლად. (ატს)



24 ივნისს ბავშვთა ზეიმზე ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.
ფოტო რ. აკოფოვისა.

ბავშვთა სიხარული

შ. ჯიქია

ყვავილებით და ბელადთა პორტრეტებით მორთული ავტომანქანები ქალაქის ყველა რაიონიდან კულტურისა და დასვენების პარკისაკენ მიაქროლებდნენ ნაირნაირ კოსტუმებში გამოწყობილ პიონერებსა და მოწაფეებს.

ამ მანქანებში ყვავილებით ჩაწრიტებულ მოწაფეებს წინ მიუძღვის დიდი ბელადის მოზრდილი პორტრეტი. პორტრეტების წინ დამდგარან ცქრიალა გოგო-ბიჭები: „მადლობა, ძვირფასო სტალინ, საამური და მხიარული ბავშვობისათვის—ამოიკითხავთ მანქანის გარშემო გაკრულ პლაკატზე. მეორე მანქანაზე ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ნაცადი ხელმძღვანელის, საუკეთესო სტალინელის, პიონერთა დიდი მეგობრის ამხ. ლ. ბერიას მხატვრულად გაფორმებული პორტრეტი ცოცხალ თაიგულებში ჩაუსვამთ. „პიონერული მადლობა ძია ლავრენტის საუკეთესო საჩუქრისათვის!—იწერია დიდ არშიაზე და ამასვე გამოხატავენ მომღიმარ მხიარულ ბავშვთა სახეები.

სიცილ-კისკისი, სიხარული და მოძრაობა აცოცხლებდა 24 ივნისს ამხ. ს. ორჯონიკიძის კულტურისა და დასვენების პარკს. ყვავილებითა და ჭრელაჭრელი მოკაზმულ მოედნებზე ერთმანეთს მოსდევდა ცეკვა-სიმღერა, თამაში, ფიზკულტურული ვარჯიშობა.

პარკის ერთერთ კუთხეში ზურნისა და დოლის ხმაზე ცეკვავდნენ სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის ნიღაბში გამოწყობილი ბავშვები. აგერ „მამლაყინწო" გარეულა თოვლივით თეთრ „წიწილებში" და ამაყად უვლის გარშემო. მეორე ალაგას ბავშვები ნაციონალურ კოსტუმებში ცეკვითა და ხტუნვით აკვირვებენ მაყურებლებს.

პაწია ოთარმა, რომელიც დედის კალთას ჩაჭიდებული თვალებგაცეცებული ათვალიერებდა თავის გარშემო მოფუსფუსე მოერიამულე ბავშვებს, უცბად ღრიალი მორთო, დედას ფეხებში ჩაუვარდა. როგორ არ უნდა შეშინებოდა, როცა მას წინ უცნაური ღორის დინგიანი ბავშვი დაუხვდა და საზარლად დაუღო ხახა...

მაგრამ მალე დედამ იქვე „მხიარულ მაღაზიაში" შეუხვია და როცა ოთარმა მრუდე სარკეში თავისი და დედის საშინლად დაღრეცილი სახე დაინახა, ძალაუნებურად სიცილი წასკდა და ღაწვებზე ლოყაზე დაკიდებული ცრემლი დილის ცვარივით გაუბრწყინდა.

პარკის საზაფხულო თეატრის შენობაში ტფილისის სკოლების მოწაფეები თავიანთი თვითშემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს უჩვენებდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ვარჯიშობდნენ, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე უკრავდნენ, ლექსებს კითხულობდნენ. ყოველ გამოსვლას პაწიათა ტაშის გრიალი, ვაშა და სიცილ-ხარხარი მოსდევდა.

მაყურებლებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს მე-19 სკოლის მოცეკვავეებმა ეკ. გელოვანმა, იური ბერძულმა და მე-4 სკოლის კახურ მომღერალთა გუნდმა მასწ. დ. ჭყოსელის ხელმძღვანელობით.

ბავშვთა მხიარულება და მოძრაობა განსაკუთრებით საგრძნობი იყო, ბავშვთა რკინიგზაზე და მის მიდამოებში. მოფლიოში პირველ საბავშვო რკინიგზას 24 ივნისს ერთი წელი შეუსრულდა. ამიტომ პატარა რკინიგზელების სიხარულს საზღვარი არა აქვს. მათ დაამთავრეს გზის მეორე რიგის მშენებლობის პირველი რგოლი. ამავე დროს „ძია ლავრენტიმ" მათ მისასალმებელი დეპეშა გამოუგზავნა.

საბავშვო რკინიგზის ერთი წლის იუბილეა. ამავე დროს ახალ ხაზზე პირველად გაივლის მატარებელი. პიონერთა სადგურის უფროსი გუსტავ აიზენბერგი ჯარასავით ტრიალებს, ემზადება საზეიმო მიტინგისათვის. პავლიკ ასლანიდი და კარ. პაპიტაშვილი ხომ ზეიმისათვის მზადების სული და გული არიან. ისინი ამაყობენ თავიანთი მიღწევებით, მათ მზად აქვთ პატაკი ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის, ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას და ალექსანდრე ვასილის-ძე კოსარევის სახელზე. ამ პატაკში ნათქვამია:

„ჩვენ საუკეთესოდ ვისწავლეთ, საუკეთესოდ მოვეწყეთ და ვაშენებთ ჩვენს რკინიგზას. წლის განმავლობაში 65 ათასი მგზავრი გადავიყვანეთ. ჩვენმა მოძრავმა შემადგენლობამ 1400 კილომეტრი გაიარა. ახლად გავიყვანეთ 600 მეტრი გზა. დავაარსეთ ახალი სადგური „მზიური" სანაღწროდებით. ემუშაობთ მეგობრულად და უავარიოდ".

ბავშვთა სიხარული აუწერელი იყო, როცა პარკში მოვიდნენ და დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მ. ნინორაძემ, აკ. მგელაძემ, კარ. ქაცარავამ და სხვებმა.

ალტაცებასა და საერთო სიხარულს ბოლო არ უჩანდა. მაგრამ 4 საათზე მეფანფარეებმა, სასულე ორკესტრმა და დუდუკმა აცნეს ბავშვებს დღესასწაულის დამთავრება.

◇

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

12 ივნისს პროფ. პ. შუშანიამ საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის ღია სხდომაზე საჯაროდ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქალის ჰორმონალური სექსუალური ციკლი და მისი მოშლილობანი". დისერტანტს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

პროფ. შუშანია 1928-1930 წლებში მუშაობდა გერმანიაში ქ. კილში მეან-გინეკოლოგიის ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერ რ. შედერთან, რომელიც ცნობილია, როგორც მენსტრუალური ციკლისა და მისი მოშლილობის რთული საკითხების მკვლევარი.

პროფ. შედერს უნდოდა საკუთარი გისტო-პათოლოგიურ - კლინიკური აღმოჩენების ჰორმონალური გზით დამტკიცება, რის თემაც ის თემა მისცა თავის ასისტენტებს პროფ. ზიბკეს და შუშანიას. პროფ. შუშანიამ და ზიბკემ შესძლეს შედერის უცვლელი დებულების დადასტურება, როგორც ერთად, ისე ცალცალკე ნაშრომებში.

პროფ. შუშანიას აქვს 18 ექსპერიმენტალურ — კლინიკური ნაშრომი, ზოგი გერმანულ, ზოგიც რუსულ და ქართულ ენებზე.

პროფ. შუშანია და ზიბკე პირველები არიან მეცნიერთა შორის, რომლებმაც მენსტრუალური ციკლის და მისი მოშლილობის შესწავლა ჰორმონალური გზით დაიწყეს. მათ აღმოაჩინეს: კვერცხის მომწიფების დრო, მენსტრუალური ციკლის ორი ფაზა, ფარული მენსტრუალური ციკლი. ჰორმონებით მკურნალობის დროს, პირველი ფაზის გაგრძელება და სხვა.

ამხ. შუშანიამ, გარდა ამისა, გვიჩვენა, რომ საშვილოსნოდან სისხლმდინარების მიზეზი ზოგ შემთხვევაში ორგანიზმში ჰორმონების დარღვევაზეა დამოკიდებული, რომ სისხლმდინარება დამოკიდებულია წლის დროზე, რომ კლიმაქტერიუმის დროს (მოხუცებულობასთან მიახლოვება) ქალის სექსუალური ჰორმონის გამოყოფა ორგანიზმიდან მატულობს, მამაკაცის ორგანიზმში მან აღმოაჩინა ქალის სექსუალური ჰორმონი და სხვ.

პროფ. პ. შუშანიას სადისერტაციო ნაშრომი მეტად საინტერესოა და გამოცემულია ცალკე წიგნად. ის უნდა შეისწავლოს ყველა ექიმმა და განსაკუთრებით მეან-გინეკოლოგებმა.

პროფ. გ. ღამბარაშვილი

ო

დისერტაციის დაცვა

27 ივნისს, დღის ორ საათზე ანატომიის კათედრის აუდიტორიაში (კამოს ქუჩა № 51) ექიმი გიორგი მეტაშვილი საჯარო სხდომაზე დაიცავს დისერტაციას მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაციის თემაა: „ფილტვის ადრეული კავერნები".

◇

ჰოლანდიელი ასტრონომები ტფილისში

22 ივნისს საღამოს ტფილისში ჩამოვიდნენ ჰოლანდიის ასტრონომთა ექსპედიციის წევრები, რომლებიც ჩამოსულნი იყვნენ საბჭოთა კავშირში მზის დაბნელების დასაკვირვებლად. ჰოლანდიელთა ასტრონომიული ექსპედიცია მუშაობდა სოფ. ბელორეჩენსკაიასთან (აზოვ-შავი ზღვის მხარე, ტუაფსის მახლობლად).

ტფილისში ჩამოსულნი არიან იან უიტრეკი, ანდრ ვესელინგი და ი. ფერვარტი. ჰოლანდიელი მეცნიერები ესტუმრნენ ტფილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიას, სადაც ესაუბრნენ ობსერვატორიის მეცნიერ მუშაკებს მზის დაბნელების დროს ჩატარებულ დაკვირვებებზე.

ჰოლანდიელი მეცნიერები 24 ივნისს გაემგზავრნენ ბათომში.

კომბინირებული ლაშქრობა

ტფილისი — მოსკოვი

24 ივნისს ტფილისიდან მოსკოვისაკენ გავიდა ა.-კ. ინდუსტრიული ინსტიტუტის წარჩინებულ სტუდენტ-ფიზკულტურელთა ჯგუფი 11 კაცის შემადგენლობით. აღნიშნული ჯგუფი იმგზავრებს გასამხედროებული წესით და კომბინირებულად, ე. ი. ივლიან ფეხითაც, ცხენითაც, ნავებით, ველოსიპედებით, ავტომობილით, თვითმფრინავით. მთელი მანძილი ტფილისიდან მოსკოვამდე მათ უნდა გაიარონ შემდეგი მარშრუტით: ტფილისი, სურამის ქედი, სოხუმი, ნოვოროსიისკი, ტიხორეცკაია, როსტოვი, ვორონეჟი, სერპუხოვი და მოსკოვი. სამარშრუტო მანძილი უდრის 2500 კილომეტრს, რომელიც უნდა გაიარონ 65 დღის განმავლობაში. აქედან 50 სასიარულო დღე იქნება, ხოლო 15 დღე—დასასვენებელი.

ლაშქრობაში მონაწილეობენ— ა. კარაევი (კომანდორი) ა. არხანგელსკი, ი. კალაშიანი, ო. გელენიძე, ვ. კოსმაჩევსკი, ა. დისკოვსკი, ვ. შაქარიანი, ვ. იმნაძე, ვ. ზერცალოვი, ა. ყაზახაშვილი და სულაძე.

ჯგუფის მიზანია მოსკოვში ჩასვლა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს —1 სექტემბერს. ამ დღეს დილით ლაშქრობის მონაწილენი გადაფრინდებიან თვითმფრინავით სერპუხოვიდან ტუშინის აეროდრომზე, სადაც მოახდენენ თვითმფრინავიდან პარაშუტებით გადმოხტომას.

ლაშქრობის მონაწილეთა გასაცილებლად, 24 ივნისს ფედერაციის მოედანზე თავი მოიყარეს ლაშქრობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა, საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა, ტფილისის წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურელებმა და დიდძალმა მშრომელებმა. მოლაშქრეთა გაცილების აღსანიშნავად შემდგარი სახელდახელო მიტინგი გახსნა ა.-კ. ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორმა—ამხ. ვაშაკიძემ. მოლაშქრეებს სიტყვით მიმართეს — საქ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა—ამხ. ს. გოგლიძემ, საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანმა—ამხ. მგელაძემ, საქ. ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ—ამხ. ს. მილშტეინმა და საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარემ—ამხ. ვ. გიორგაძემ.

მიტინგის შემდეგ მოლაშქრეები გაუდგნენ გზას ცხენებით. ისინი გააცილეს ავტომობილებით ტფილისელმა ფიზკულტურელებმა.

მოლაშქრეები ცხენით ივლიან სოხუმამდე.

კ ი ნ ო

„უკანასკნელი მილიარდერი"

ამ სურათმა შარშან მეორე ჯილდო მიიღო პირველ საკავშირო კინოფესტივალზე. იგი ფრანგ რეჟისორს რენე კლერს ეკუთვნის. კინემატოგრაფიის ამ ნიჭიერ ოსტატს საბჭოთა მაყურებელი იცნობს მისი ლირიკული ფილმით „პარიზის ჭერქვეშ". ამ უკანასკნელ სურათში რენე კლერი გვიხატავს დიდი კაპიტალისტური ქალაქის ფსკერზე მოქცეულთა—ქუჩის მომღერლის, წვრილი ვაჭრის, ქურდთა, აპაშთა და მათი მეგობარი ქალების უბედურ ცხოვრებას.

ცხოვრება შემთხვევითია და წარმავალი. მუდმივი მასში არაფერია. კანონები, რომლებიც ამ ცხოვრებას განაგებენ, უცნობია. ამიტომ ცხოვრება საშინელია და გაუგებარი, პირქუში და უსამართლო,— ასეთ დასკვნამდე მიდის რენე კლერი. ის, როგორც ერთგული შვილი თავისი კლასისა, ხედავს ბურჟუაზიული საზოგადოების განწირულებას, მაგრამ ვერ პოულობს ძალას თავი დააღწიოს წვრილ-ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობას და ახალ, აღმავალი კლასის სოფლმხედველობაში ჰპოვოს ძალა და სიმხნევე.

რენე კლერის მხატვრულ საშუალებათა არსენალში არ მოიპოვება ძლიერი გრძნობები და ვნებანი. მისი გმირები თვითონ კი არ ჰქმნიან ცხოვრებას, არამედ ემორჩილებიან მას. ისინი ბედისწერის მორჩილნი არიან.

რენე კლერის ირონია ზოგჯერ შხამიან სატირამდე მიდის და დაუზოგავად ამათრახებს ბურჟუაზიულ საზოგადოებას. ეს განსაკუთრებით მის ახალ სურათში—„უკანასკნელ მილიარდერში" სჩანს.

ფილმში გამოყვანილია პირობითი ქვეყანა „კაზინარიო", რომელიც მხოლოდ ერთი ქალაქისაგან შესდგება. ამ ქალაქის ყველა მოსახლეს თავისი მიმდინარე ანგარიში აქვს ბანკში. ქალაქს არ გააჩნია არავითარი მრეწველობა, არავითარი შემოსავლის წყარო, გარდა... კაზინოსი და სათამაშო რულეტისა.

კაზინოში აღარავინ დადის, შემოსავალმა იკლო, ხალხს ფული აღარა აქვს. პარლამენტში ამ ნიადაგზე ცხარე სხდომებია. ხალხი ღელავს და ბობოქრობს. კაფეში მიმსვლელნი ფულის მაგიერად ქათამს აძლევენ ღვინოში, ხურდად კი ორ წიწილს და კვერცხს ღებულობენ.

იყო დრო, როდესაც კაზინარიო აყვავებულ ქვეყანას წარმოადგენდა, მაშინ იქ მხოლოდ ერთი მათხოვარი იყო, ისიც უფრო ამ საქმის სიყვარულით მისდევდა მათხოვრობას და წვრილ საჩუქარს არც კი ღებულობდა. [illegible] ეს გათავდა [illegible] ... იზრდება.

მაშინ მთავრობა ელჩებს გზავნის თავის თანამემამულე მილიარდერ ბანკოსთან, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს. ის მოითხოვს, რომ მიათხოვონ მეფის მშვენიერი ასული იზაბელა, სამაგიეროდ კაზინარიოს სესხად ჰპირდება სამას მილიონ მანეთს.

ბანკო მოდის კაზინარიოში და დიქტატორი ხდება. შემთხვევით მას თავზე დაეცემა სამეფო გვირგვინი, დარტყმა იმდენად ძლიერია, რომ ბანკო ჭკუაზე შეირყევა და იწყება კაზინარიოში გიჟის დიქტატურა. მას ჩააგონებენ, რომ მის წინააღმდეგ მოწყობილია შეთქმულება, რომ შეთქმულებს მისი მოკვლა უნდოდათ სკამის დარტყმით. ეს საკმარისია, რომ სკამი იარაღად იქნეს მიჩნეული და განიდევნოს ხმარებიდან.

გიჟი დიქტატორი გასცემს ბრძანებას, რომ ყველა წვერიანმა მოქალაქემ მოკლე შარვალი ატაროს და კაზინარიოს მინისტრები იძულებული არიან „ტრუსიკებით" იარონ, ძაღლივით იყეფონ და იხოხონ დიქტატორის წინაშე. მინისტრები და დედოფალი ითმენენ ამას, რადგან ფული ხომ ბანკოსა აქვს.

ახალი დარტყმით ბანკოს უბრუნდება გონება, მაგრამ კრიზისის დარტყმით ის ქონებას ჰკარგავს. ბანკო გაკოტრდა. კაზინარიო მის ხელშია, მაგრამ ფული აღარ არის.

ასეთია ამ დიდი სატირული სიმახვილით გაკეთებული სურათის შინაარსი. რენე კლერი შეუბრალებლად ამათრახებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და მის ორგანოებს, მაგრამ არავითარ პერსპექტივას არ სახავს. რა იქნება შემდეგ? ამაზე რენე კლერი პასუხს არ იძლევა.

„უკანასკნელი მილიარდერი" ნიჭიერი ფრანგი რეჟისორის მაღალმხატვრული მუშაობის ნაყოფია. რენე კლერი ოსტატურად ჰფლობს კინემატოგრაფიული დიალოგის ხელოვნებას—პატარა შტრიხით ის დინამიურობას, სიმძაფრეს ჰმატებს მოქმედებას. რეჟისორის ზუსტი, გამჭვირვალე მუშაობა, ეფექტების ძუნწად, მაგრამ მიზანშეწონილად გამოყენება, აქტიორთა სუფთა ცხოველი თამაში ამ ფილმს ღირსშესანიშნავ ფილმთა რიგში აყენებს.

შ. ბუაჩიძე.

―o―

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება

მძიმე და სატყეო მრეწველობის საქონლის და ნაკეთობის (ხელთქონებული და გზადმყოფი) და აგრეთვე დაუმთავრებელი ნაწარმის გადაფასების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრში აქამდე შესრულებული არ არის სსრ კ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მარტის 27-ის № 506 დადგენილება „მძიმე და სატყეო მრეწველობის პროდუქციის ახალი სავაჭრო ფასების და აგრეთვე რკინისა და წყლის ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ახალი ტარიფების დაწესების შესახებ", რომელიც დადგენილების საფუძველზე ყველა სახელმწიფო მოვაჭრე, დამამზადებელ, გამსაღებელ და მომმარაგებელ ორგანიზაციას და აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ კოოპერატიულ ორგანიზაციებს და სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს დაევალათ მოეხდინათ გადაფასება 1936 წ. აპრილის 1-თვის ამ საქონლის და ნაკეთობის (ხელთქონებულის და გზადმყოფი), რაც ჩამოთვლილია ზემოაღნიშნული დადგენილებით, და აგრეთვე გადაეფასებინათ ამ საქონლის და ნაკეთობის წარმოებადაუმთავრებელი ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები (ამ ორგანიზაციის და საწარმოს აქამდე მოწოდებული არ აქვს ფასის მაჩვენებლები).

ამის გამო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეთ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს და საწარმოებს, მათი ხელმძღვანელობის პირადი პასუხისმგებლობით, ხუთი დღის ვადაში ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან უზრუნველყონ ქვემდებარე ორგანიზაციები საჭირო ფასის მაჩვენებლებით.

2. წინადადება მიეცეთ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ქალაქთა საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ 1936 წ. აპრილის 1-თვის ჩასატარებელი მძიმე და სატყეო მრეწველობის გადაფასებათა და სხვათა ცნობების საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში წარდგენა არა უგვიანეს ა.-წ. ივლისის 1-სა.

გადაფასებისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობის შესახებ ხუთდღიური ცნობები ეგზავნონ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ბუდუ მდივანი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოად.
ვ. ლუნკევიჩი

1936 წ. ივნისის 15, ტფილისი.

□ □ □

შემთხვევები

# ავტომობილების დაჯახება. საბარგო ავტომანქანა № 11—91, რომელსაც მართავდა შოფერი ა. ფ. პოდლუტრევი, მოძრაობის წესების დარღვევის გამო მიასნიკოვის ქუჩაზე დაეჯახა № 27—49 სამგზავრო ავტომანქანას. ორივე მანქანა დაზიანდა. შოფერ პოდლუტროვს პასუხისგებაში აძლევენ.

# ქურდების შეპყრობა. 20 ივნისს დილით საქ. მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის განყოფილების თანამშრომლებმა ქუჩაში შეიპყრეს ორი უცნობი, რომლებსაც ბოხჩაში გამოკრული ნივთები მიჰქონდათ. დაპატიმრებულები აღმოჩნდნენ ნ. პ. კურილოვი და ვ. პ. ბადირევი, ჩამორთმეულ ნივთებში აღმოჩნდა: ოქროს საათი, სხვადასხვა საოჯახო ნივთი და ტანსაცმელი. დაკითხვის დროს კურილოვმა და ბადირევმა განაცხადეს, რომ ეს ნივთები ნაქურდალია, მაგრამ სად ჩაიდინეს ქურდობა არ სთქვეს. ამავე დროს მილიციის მე-10 განყოფილებაში უკვე შემოტანილი იყო მოქ. ა. ფ. გამსახურდიას (ტარიელოვის ქ. 2) განცხადება მისი ბინის 17 ივნისს ღამით გაქურდვის შესახებ. მოპარული ნივთების ნიშნები ეთანხმებოდა კურილოვისა და მისი თანამონაწილისათვის აღმოჩენილ ნივთებს. როდესაც მოქ. გამსახურდიას აჩვენეს ნივთები, მან ისინი თავისად იცნო. ნივთები დაუბრუნეს პატრონს. გამოირკვა, რომ 17 ივნისს ღამით, როცა გამსახურდიას ეძინა, ქურდებმა ისარგებლეს მისადგმელი კიბით, რომელიც მეზობელი ეზოდან წამოიღეს, ავიდნენ მეორე სართულზე და გაღებული კარებიდან შეიპარნენ გამსახურდიას ბინაში. ქურდები პასუხისგებაში მისცეს.

ქ რ ო ნ ი კ ა

— 27 ივნისს საღამოს 8 საათზე მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) შესრულდება ბესარიონ ბელინსკის დაბადებიდან 125 წლის თავის აღსანიშნავი საღამო. ბელინსკის შემოქმედების შესახებ მოხსენებას გააკეთებს პროფ. ს. დანელია.

— 27 ივნისს საღამოს 8 ს. მწერალთა კავშირი საქ. კომკავშირის ლენრაიკომთან ერთად პლეხანოვის კლუბში აწყობს მწერალ ა. მ. ხუციშვილის რომანის „დაფარული ფურცლების" საზოგადოებრივ განხილვას. მოხსენებას „დაფარული ფურცლების" შესახებ გააკეთებს მწერალი როდიონ ქორქია.

□

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია პარტისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების მსმენელთათვის „საბჭოთა კავშირში სამოქალაქო ომის ისტორიის" გამოსაყენებლად პარტიის ისტორიის თემისათვის. საღამოს 7 საათზე. რუსულ ენაზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე „კლასების ლიკვიდაციის შესახებ საბჭოთა კავშირში" საღამოს 8 საათზე.

საკ. ალ. კ. კ. კაბინეტი — ჯგუფური კონსულტაცია კომკავშირული პოლიტსწავლების ყველა ტიპის სკოლებისათვის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტის პირველი ორი კარის შესახებ. საღამოს 8 საათზე. ქართულ ენაზე.

მიიღება ხელისმოწერა
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტის"
ყველა გამოცემაზე
1936 წლის ივლისისათვის და წლის ბოლომდე

გაზეთების და ჟურნალების დასახელება	პერიოდულობა	ხელისმოწერის ფასი			
		ერთი თვით		6 თვით, წლის ბოლომდე	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
გ ა ზ ე თ ე ბ ი:					
„კომუნისტი"	ყოველდღიური	2	50	15	—
„პროლეტარი" (სომხ. ენ.)	„	2	50	15	—
„ენი-ქენდი" (თურქულ ენ.)	„	1	25	7	50
„ახალგაზრდა კომუნისტი"	„	2	50	15	—
„ნორჩი ლენინელი"	ექვსდღიური	—	25	1	50
ჟ უ რ ნ ა ლ ე ბ ი:					
„პარტიული მშენებლობა"	ყოველთვიური		50	3	—
„მშრომელი ქალი"	ყოველთვიური	—	40	2	40
„ბოლშევიკი"	„	—	50	3	—
„ახალგაზრდა ბოლშევიკი"	„	—	50	3	—
„პიონერი"	„	—	50	3	—
„ოქტომბრელი"	„	—	50	3	—
„კარმირ-წილერი" (სომხ. ენ.)	„	—	50	3	—
„ენი-ძიუვე" (თურქულ ენ.)	„	—	50	3	—

ხელისმოწერა უნდა ჩაბარდეს „სოიუზპეჩატს", ფოსტას, წერილდამტარებლებს, ხელმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობებს ტრანსპორტზე.

უკანასკნელი ვადაა 27 ივნისი.

დღეს 26 ივნისს
ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ყოფ. მუშტაიდი)
დღეს 26 ივნისს

აღმოსავლურ მეჰარმონეთა კონკურსი
პროგრამაში: „შური", „სეგია" „მუხამბაზი",
საიათნოვა, ბაიათი-შირხუ და სხვ.

პ ა რ კ შ ი:
სასულე ორკესტრი ფორშტადტის ხელმძღვანელობით.
დასავ. ევროპ. ცეკვები.

საზაფხულო თეატრი:
ხმოვანი კინო
„პარიზის ჭერქვეშ"

პარკში და კონკურსზე შესასვლელი ბილეთი 1 მან.
დაწვრილებით აფიშებში. 621

სახკინმრეწვის თეატრები	
ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვ. მხატვრ. კომედია „მარიონეტები"
დამკვრელი საზ.-საზამ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი „ც ი რ კ ი" საგანგებო გამოშვება „ა. მ. გორკის ხსოვნას"
კომკავშირელი საზ. საზამ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფრანგული ფილმი „უკანასკნელი მილიარდერი"
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი მხატვრული ფილმი „ც ი რ კ ი" ბილეთების წინასწარი შეძენა კინო „ეთერის" სალაროში 12—5 საათამდე.
საზაფხ. ე თ ე რ ი 9 ს. 11 საათ.	
26 კომუნ. სახ.	საზაფხ.—ხმოვ. ფილმი „კ ო ნ დ უ ი ტ ი" საზამთ.—ხმოვანი კომედია „ერთ ზაფხულს"
კომინტერნი საზაფხ.	ხმოვანი სურათი „უკანასკნელი ბანაკი"
ახალი ამბები დასაწყისი 6-30 წ.	1) საგანგებო გამოშვება „ა. მ. გორკის ხსოვნას", 2) ნორჩი ტალანტები, 3) ხმოვ. ჟურნ. № 5.

შვილები: მარიამ, ბაბილინა, დავით, გიორგი, სერგო, რძლები: ლუბა, ლილი, სიძეები: ალიკო ქუთათელაძე, გიორგი ჯიშკარიანი იუწყებიან დედის
ეკატერინე მერაბის-ასულ მიბუკის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ხონში, 27 ივნისს. 15073

ტფილისის დაუსწრებელი პედინსტიტუტის თანამშრომლები და ლექტორები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ინსტიტუტის ლექტორს ამხ. არტემ ჩარუას მამის
ერმალოზ ჩარუას
გარდაცვალების გამო. 15056

მშობლები: მინა, ერმისი, ძმები: ურია, ვახტანგ ოჯახობით, კირილე ჯაყელები, დაი ტასო, სიძე პროკოფი თოხაძეები იუწყებიან, რომ 30 ივნისს აკეთში დანიშნულია
ლეო და მარიამ ჯაყელების
პანაშვიდი. 15076

დავით გოცირიძე, ალექსანდრა ჯაჭელიძე, ნათელა და ვაჟა აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს დედის, დედამთილის და ბებიის
მარიამ თედორეს-ასულ გოცირიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5, ს. ყურგანოვის, 28. 15075

მშობლები: დიმიტრი, ალექსანდრა, ცოლი თინათინ, შვილები; ძმები: მიხეილ, ლევან, მარიამ, ბიძაშვილი ნატალია იუწყებიან, რომ დღეს 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ვახტანგ დიმიტრის-ძე რჩეულიშვილის
პანაშვიდი. 15072

დედა ეკატერინე, შვილები: დავით, მალვა, ბაბო, ვალიკო, ნინო, კოტე, მიტო, რძლები: მარო, ოლღა, დედა მარიამ შვილებით იუწყებიან ძვირფასი
თამრიკო კვინიკაძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ცხინვალში დღეს. 15071

დამწუხრებული მშობლები: ლადო (ვალოდია) და ქსენია ცხვირავაშვილები შვილი ზურიკოთი იუწყებიან მუდამ დაუვიწყარი
პატარა ლილია (დოდო) ცხვირავაშვილის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 5 საათზე პლეხანოვის, 109. 15082

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული Ⴃ 8509